



ივლო-ობოზარი

იპ ღვიღან ღვიგვი...

ივლო-ოტოგარი

იმ დღიდან დღემდე...

თბილისი
2013

რედაქტორი: მანონ ბულისკერია
მხატვარ-დიზაინერი: ნუგ ზარ მგალობლიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ხვიჩა ხურციძე

ISBN 978-9941-0-5560-7

უფრო საგულისხმოს წინამდებარე კრებული გეტყვი, მე კი შემოიძლია გითხრათ, რომ ნამდვილად ნიჭიერ გოგონას გაიცნობთ, რომელიც, თავისი ასაკისთვის შეუფერებელი უსაზღვრო სევდითა და შესაშური შემართებით, აუცილებლად გაიგნებს გზას თქვენი გულებიკენ.

გადავწყვიტე, ყოველგვარი ზედმეტი ჩარევისა და „შეფუთვის“ გარეშე მომეწოდებინა თქვენთვის ეს ცინცხალი, მართალი ლექსები და არც მკაცრ განსჯას მოველი, რადგან, მივიჩნიე, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა ავტორს უნდა ენდო!

დიახ, მე მჯერა მომავლის და მინდა, ივდოს წარმატებები ვუსურვო იმ გზაზე, რომელზეც ის შემთხვევით არ აღმოჩენილა.

მანონ ბულისკერია



ახლა რომ მცივა...

მე სულში მცივა, დავცარიელდი,
ალარ გამათბოთ! ეს არ მჭირდება!
უეცრად გაქრა ნათელი ფერი,
ჩემ სამყაროში უცებ დაბნელდა.
დიახ, გახლავართ სულით ობოლი,
გულმა სიმშვიდე ვერაფრით ჰპოვა
და ვამბობ მართაღს, განა მოგონილს?
რომ მხოლოდ დარდმა არ მიმატოვა!
დრო კი კვლავ მიდის ჩვეული რიტმით,
მოგონებები ისევ მანამებს,
გადავიღალე უაზრო ფიქრით,
ცრემლი მისველებს ისევ წამნამებს.
მინდა გაფრენა, მბოჭავს სხეული,
მაგრამ სიცოცლეს ჩემი ვალია.
გულის კარები მქონია ღია,
ახლა რომ მცივა, ამის ბრალია...

ჩათვლიმა სევდამ...

ვერ გავამრავლე ნათელი ფერი,
პირიქით, ლექსებს შევმატე სევდა,
რამდენჯერ გითხრა: არა ვარ ყბედი!
ჩემი შეცნობა რით გაგიძნელდა...
შენ არც კი იცი, ვუძლებდი რამდენს,
სინანულს უკვე აღარ აქვს აზრი.
დრო გვითვლის ახლა სიცოცხლის წამებს,
ნუ გავიხსენებთ წარსულში განცდილს...

მიღირდა მოსვლა? არ მაქვს პასუხი.
ნასვლაზე მაინც ხანდახან ვფიქრობ,
როცა გონება ფიქრებით დამსჯის,
შემწეობას კვლავ უფლისგან ვითხოვ...
ის მაძლევს ძალას, რომ წინ ვიარო
და გავუღიმო ამ ტიალ ბედსაც...
ჩემს სამყაროში დახეტილობით,
ჩუ, ნუ მიღვიძებთ, ჩათვლიმა სევდამ...

სიყვარულს გასწავლი

სიყვარულს გასწავლი და ტკივილს გაგიქრობ,
ყოველდღე ღიმილით შეხვდები განთიადს,
ჩემი სტრუქტურებით შენს გულს რომ დავიპყრობ,
მაშინვე იაზრებ, ვიღაცა გაკლია...
რა ვუყოთ გიჟი ვარ... ან იქნებ ცანცარაც...
წამოდი, მინდორში დავკრიფოთ გვირილა.
გავექცეთ სამყაროს, რადგანაც, რადგანაც...
გახსოვს ის ქორები, ნერვებს რომ გვიშლიდა?
ვიცინოთ, ვიცინოთ, თუნდაც არაფერზე.
სიცილის იოგებს ძარღვები დავწყვიტოთ,
არ ვიცი, ამ ლექსით იქნებ წაგაქეზე...
ბოდიში, ქურდი ვარ... გულებზე ვნადირობ!

გრძნობებმა იცის...

მე ცისარტყელას მოვპარავ ფერებს,
რომ შენი სულის ვხატო მშვენება.
მაინც არ მითხრა, ვერ დავიჯერებ,
სხვაც ბევრიაო ლამაზთვალება.

შენს იქით, იცი? გზას ვერ ვხედავდი,
თუკი დამლუპავ, შენვე მიშველე.
„მენატრებიო“ ნულარ იძახი,
ძველ მოგონებებს ნულარ იხსენებ.
დრო გავა, მერე დაგწყდება გული,
გრძნობებმა იცის ფიქრების აშლა
და დავიღალე ცხოვრებით რთულით...
არ შემიძლია უშენოდ, რა ვქნა?!
„მე შენ მიყვარხარ“ არასდროს გეტყვი!
აქამდეც, იცი, არასდროს მითქვამს...
ღვინოთი არა, დათვრები ჩემით
და ყველა ტკივილს ერთად ავიტანთ!

დღეს მომენატრე

დღეს მომენატრე და სუნთქვა მიჭირს,
თუმცა, გრძნობები ნელ-ნელა ცვდება.
დრო კი არ მიდის, არამედ მიქრის,
უკანასკნელი იმედიც კვდება...
მე არა, ახლა ბუნება ტირის,
კვლავ გადავწყვიტე, ნავიდე ჩუმად,
ბოლო მოვულო უეცარ ტკივილს
და მივუყვები ნაწვიმარ ქუჩას.
დღეს მოთმინების ძაფი გამიწყდა,
როგორ? მომბეზრდა უაზრო მოცდა.
მინდა, ახლავე ცაში ავიჭრა,
თავად უფლის წინ რომ შევძლო ლოცვა.
თქვენ, ვიცი, ფიქრობთ – ალბათ უყვარდა...
რა ვქნა, კითხვაზე არ მაქვს პასუხი.

ცვალებადი ვარ, ეს თუა ცოდვა...
გულს კითხეთ, იწვის გრძნობის აღმურში?
მოიცათ, პულსი რალაც აჩქარდა.
ძარღვებში სისხლი ამტკივდა უხმოდ.
უბრალოდ, ვხვდები, უკვე დამთავრდა!
წარსულსაც შენს თავს უსიტყვოდ ვუთმობ!..

მე მახსოვს...

მე მახსოვს გულით პირველი ლოცვა,
სულის სხეულთან გაყრა ვიგრძენი
და ერთადერთი ფიქრი, რაც მქონდა,
მინდოდა, უფალს შეენდო ჩემთვის.
მანც ტანჯვაში გათენდა დილა,
არ მშორდებოდნენ შავი ფიქრები,
მერიდებოდა ხატებთან მისვლა...
ვინა ვარ ახლა, ხვალ ვინ ვიქნები?!
ჩარჩოში ჩასმულ ცხოვრებას ვებრძვი
და ვგმობ დადგენილ წესებს, კანონებს.
მერე რა ვუყოთ, სიკვდილი მეტრფის
არ ვიცი, რითი მოვაჯადოვე...
როგორღაც ჩემი გამაქვს ჯიუტად,
ლექსებს და წამლებს დოზებით ვიღებ,
თუმც მეგობრებშიც მყავდა იუდა,
სიცარიელეს ვერავინ მივსებს.
ღმერთო, მიშველე, ფიქრები შემშლის,
ამ დამძიმებულ სულს ველარ ვუძღებ.
რამდენი რამე დავმალე ლექსში,
იმ დღიდან დღემდე, ბენვის ხიდს ვუმზერ...

გადავიღალე და თვალებს ვხუჭავ,
მერე ნელ-ნელა მივყვები ქუჩას.
დავეძებ ადგილს, რომ ვიყო მარტო,
მაგრამ ამოდ... ამიტომ ვდარდობ.
ჩემი თვალეები, ვიცი, ბევრს ათრობს,
ვხვდები, ამ მზერით ვინვევ არიფებს.
რატომღაც მშვიდ და უდარდელს ვგავარ,
მწარედ ცდებიან და ეს აგიჟებთ.
არც ჭორიკნების აზრი მადარდებს,
მშფოთვარე სული მწვერვალებს ეტრფის,
მხოლოდ ერთი რამ მიკვირს, ძვირფასო,
ნეტა, როდიდან ჩავსახლდი შენში?
ჯერ პატარა ვარ, მაცადე გაზრდა,
ხშირად ნაზი ვარ, ზოგჯერ – უხეში...
ბავშვური ქცევით გაყვარებ თავსაც,
მჯერა, არასდროს არ გამცვლი სხვაში.

რატომ?

რატომ მომპარეთ სითბო გულიდან?
რისთვის ჩაკალით ჩემში იმედი?
ბევრი ვეცადე, არ გამოვიდა...
წერტილს ველარ ვცვლი უკვე მძიმეთი...

გრძნობას დავახურე ფარდა,
სულში ძველებურად მათოვს.
ადრე სიყვარულის მწამდა,
ახლა კი ეჭვები მახრჩობს...

არ ვარ კრიტიკოსი, არა!
უბრალოდ სიმართლეს ვამბობ.
თავის მოტყუება კმარა!
გულთან არ მოგიშვებ ახლოს!
ასეთი გაუუჩნდი დედას,
არ მსურს ვარსკვალავები ვთვალო.
ჩემი შეცდომა რომ გერქვას?
ყოფნა მირჩენია მარტო...

აფერისტია ბედნიერება

მხიარული ვარ და ბევრს ვიციანი.
აღბათ, ღიმილით ვაწუხებ სევდას,
მაგრამ, ჩემ გარდა, არავინ იცით,
რამდენი ტანჯვა მარგუნა ბედმა....
უთქმელ ტკივილებს გავუძლო უნდა,
უბრალო ქარებს ქარიშხლებს ვარჩევ!
მე სულ სხვაგვარი ცხოვრება მსურდა,
მოსაგონებლად ეს ლექსი დარჩეს.
სულის წვალებას მაინც ავიტან,
პირზე ღიმილით ბოლომდე ვივლი,
რომ შემიცოდოთ, სულაც არ მინდა,
ოღონდ მიმიღეთ ასეთი გიჟი...
იქნებ, ბევრს ვითხოვ და არ მერგება,
ღმერთო, მიშველე, აბა რა ვიცი?!
აფერისტია ბედნიერება.
ჩემი გზით მინდა წასვლა, გამიშვით!

მახსოვს...

მახსოვს, კითხულობდი ჩემ ლექსებს და
რჩევებს რომ მაძლევდი, მახსოვს.
ხომ მიძნელდებოდა ყველაფერი,
ახლა მიზანთან ვარ ახლოს.
როგორ მომენატრა საუბარი
ჩვენი. დუმილი მაშინებს.
მაქები კიდევაც, მამხნევებდი,
ნახვედი... მიზეზი არ მაღირსე.
მონატრება ცრემლებად დამდინდა,
„მაგარი გოგო“ ვარ, არ ვიმჩნევ.
ლექსებში გრძნობა ვერ დავატიე...
ისედაც ყველაფერს გაიგებ.

უხმოა სიტყვებიც

არ მინდა, გონება ფიქრებით დავლალო,
მორჩილად ველოდები ბოლო განაჩენს,
ეს გული ოხერი თავისას იჩემებს,
ბედი კი უჩუმრად მიგორებს კამათელს.
და მახსოვს, როდესაც მე ლექსებს ვისმენდი,
თვალებზე წვეთ-წვეთად ცრემლები მწყდებოდა...
ხანდახან ტკივილებს ვერ ვატევ რითმებში,
იქნება, ეს გული შენ გელოდებოდა?!
მაოცებ, რადგანაც ძალიან სათნო ხარ,
უფალმა მწყემსად სხვებისგან აგარჩია,
თუ ამ გზას გაჰყვები, გპირდები, გავუძლებ,
დამლოცე, უბრალოდ ვიცდი, რომ მაღლია...

სულ განზე გავდგები... თუკი დაგჭირდება,
ემშაკს დავამარცხებ, უფალთან ვიქნები.
არსებობს ერთი რამ, რასაც ვერ მიხვდები,
რადგან უაზროა, უხმოა სიტყვებიც...

მზე მაჩუქეთ!...

მომენატრე, შენზე ვფიქრობ,
ამ ცხოვრებამ დამლალა.
ალარ მიმხელ, მაგრამ, ვიცი,
შენ გგონივარ პატარა
და დასცინი იმ გრძნობებსაც,
მე რომ გულით ვატარებ.
ღმერთო! ბევრი ღიმილი და
ცოტა ცრემლი მაკმარე,
დავიღალე, ძლივსლა ვსუნთქავ,
თვალი ცრემლით მევსება.
ვერ გავიგე, რა შევცოდე,
ზეცა თავზე მექცევა,...
ახლა უკვე ცოდვილი ვარ,
თუმცა, მაინც არ ვნანობ.
გული არ გაქვს – დამარწმუნეს!...
ეჰ, სატანავ, რად არ მთმობ?
მტკივა გული, სული მტკივა,
სისხლი მტკივა ძარღვებში.
ალარ მომწონს ეს ცხოვრება,
ეჰ, სადამდე დავეშვი.
ვინც მიყვარდა, ქვა მესროლა,

ზურგში დანა ჩამარტყა.
კაცის ნდობა რომ დავკარგე,
დარდიც გამიათმაგდა.
„მიყვარხარო!“ – მითხრა ბევრმა,
მხოლოდ თავი დავხარე.
„აღარ მჯერა!“ – მსურდა მეტქვა,
ჰოდა, პირში ვახალე!
ჩემი გული გაიბზარა,
ველარ ვშველი ნაპრალეებს.
გაზაფხული მომენატრა,
მზე მაჩუქეთ, ახლავე!
ბევრი მყავდა სულში თბილად,
ნახევარი წავიდა.
კარტი ტყუილად დამირიგეს,
დრო კი ბევრი გავიდა.
და გამყვება ერთი კითხვა
მე სიკვდილის კარამდე:
გაზაფხული მოვა?.. როდის?
ფუჭად ველი აქამდე.

არ ვიცი, რა გითხრა, ბევრი მაქვს სათქმელი,
თუმცა, ერთ სიტყვაშიც ეტევა აზრი.
აღბათ ვერ გამიგებ და გამიბრაზდები,
ჩემს გულში მაინც ყოველთვის დარჩები...

აჩის

შენ ამბობ, ვარო უგულო,
უკვე ცოცხალი გვამი.
ღმერთს სთხოვ – მივდივარ აქედან,
შემიმოკლეთ ნამი.
ვიცი, გული გაქვს ნატკენი,
ეს კაცთა მოდგმის ბრალია,
მაგრამ იცოდე, ძამია,
სიცოცხლე კარგი რამეა.
შენ ბევრს უყვარხარ, გაფასებს,
სულელთა ყბედობა გაატარე...
იბრძოლე, იცოცხლე... შეგვიცოდე,
გული გეტკინება? ილოცე!
ღმერთი შენთანაა, არ გტოვებს,
დღეს თუ გაგიავდრდა,
ხვალ მზე გაბრწყინდება,
პატარა დაიკოც სულ შენთან იქნება.
მას მაგრად უყვარხარ, მუდამ ეყვარები,
სულ შენზე ილოცებს, გულში ეყოლები,
ნუ გაგვესება ცრემლებით თვალები,
ნუ ნახვალ, აჩი, ნუ გამეპარები,
გთხოვ, დარჩი, ძამიკო, მომენატრები...

მგლები ტყეში

შუაგულ ტყეში ყმუიან მგლები.
მე კი ამ მგლების ყმუილით ვტკბები,
ვუახლოვდები ნაცრისფერ ხროვას
და ვერ მაშინებს საზარი ხმები.

გადავიჭერი მტრების მინაზე
და შეტევისკენ გული მიმინვეს!
ჩავავლებ კლანჭებს, როგორც წინილას
ქორი და... მერე მტრობას ვივინყებ!

სამი მარტია

სამი მარტია, გილოცავ, დედი,
გაზაფხულია. მზე ახელს თვალებს.
დედობა დიდი ჯილდოა ღმერთის,
რომელიც ღვთისგან ებოძათ ქალებს...
ხშირად გაბრაზებ და ნერვებს გიშლი,
სხვა სამყარო მაქვს, სხვაგავრი ხედვა,
ამიტომ, არ ვარ, დედილო, მშვიდი!
ფათერაკებიც მუდმივად მსდევდა.
გაჩუქებ ლურჯი იების სუნთქვას
და გაზაფხულის სუყველა ფერსაც...
გაიგე ხოლმე უთქმელი სიტყვაც...
მე შენ მიყვარხარ, ძვირფასო დედა!

მოჩვენებითი გულცივობა, მალული ცრემლი,
ყალბი ღიმილი, დაპყრობილი მწვერვალი სევდის...
მიჭირს, ქუჩაში, შენს ტოლებს რომ მუდმივად ვხვდები,
ვინ იცის, იქნებ, ამ ფიქრშიაც მე უკვე ვცდები...
ბედი დამცინის, აგიხდაო შენი ოცნება,
არა აქვს აზრი... ჩვენს ფანჯრებში სხვა ხედებია.
ნეტავ, იცოდე, ეს გული რომ სულ გელოდება,
რამდენი ღამე შენზე ფიქრში დამთენებია.

გაურკვევლობამ გამაგიჟა, ფიქრმა დამლალა,
შეგაძულებენ ჩემს თავს, ვიცი, არას ვკითხულობ...
ალბათ ცხოვრებამ ყველაფერი ასე გათვალა,
რას არ მივცემდი, შენ რომ ახლა ჩემ გვერდით იყო...
გავა წლები და უსათუოდ კვლავაც შევხვდებით,
მივხვდები, არ ხარ ის, ვისაც და ვიზედაც ვფიქრობ.
მანამდე, მაინც, ოცნებებში მოგეფერები,
ჩემ ცხოვრებაში ჩახლართული სხივი ხარ თითქოს!

ბებოს

იცი, მიყვარხარ მთელი გულით, მთელი არსებით,
შენ ჩემთვისა ხარ, საყვარელო, მეორე დედა.
ყოველთვის გრძნობდი გასაოცარ რაღაც ალლოთი,
როცა მიჭირდა, მიხაროდა... ყველაზე მეტად.
იყავი ჩემთან და გჯეროდა ჩემი სიტყვების
და სიყვარულიც გულში ნელა იფურჩქნებოდა.
და გაიშალა, როგორც ვარდის ყველა კოკორი,
ამ სიყვარულმა სულ მოიცვა ჩემი არსება.
შენ ჩემთვის არ ხარ, საყვარელო, მხოლოდ ბებია,
მეგობარიც ხარ და დედაც ხარ მეორე ჩემი.
ძლიერ მიყვარხარ, სულ გახსოვდეს, ჩემო ბებია,
აღარ დამტოვო არასოდეს, გთხოვ, გვედრები.
მე ბევრჯერ მსურდა შენთვის მეთქვა სიტყვა –
მიყვარხარ,
მაგრამ, მეჩვენა, უადგილოდ მხოლოდ სიტყვები
და გადავწყვიტე, სიყვარული ლექსით ამეხსნა,
გული მატკინა შენმა სიტყვამ, რაც მითხარ წელან –
ვინც ქვეყნად მოდის, უსათუოდ სუყველა კვდება...

ვერ მოვითმინე, მიყვარხარო, შენთვის არ მეთქვა.
ვიცი, ასეა! ნუთისოფელს ვერ შეცვლი, ვერა,
სხეული კვდება, სული მუდამ უკვდავი რჩება.
სწორედ ამიტომ, ეს კავშირი აღარ შეწყდება,
მაგრამ მანამდე, კიდევ დიდხანს ვიქნებით ერთად!
და იამაყებ, იმედი მაქვს, ჩემით ერთ დღესაც...
არ დაგავინწყდეს არასოდეს, გჯეროდეს ჩემო,
ხშირად არ მითქვამს, თუმცა, მსურდა ბევრჯერ
რომ მეთქვა,
მუდამ მიყვარდი, მეყვარები, ლამაზო ბებო!

რატომ შევიცვალე?!

ვიღაცა მიდის, ვიღაცა მტოვებს,
ვიღაცა ჩემგან სიყვარულს ითხოვს.
ვიღაცას უნდა დამიმეგობრდეს,
მაგრამ ეს გული ველარ გრძნობს სითბოს.
მერე რა ვუყო, არა მაქვს ბრალი,
გადავუხადე ცხოვრებას ხარკი.
წავიდა, გაქრა ოცნება ყველა,
რა ვუყოთ, ხშირად ნატვრა არ ხდება.
ახლა კი ვხვდები, რა მწარედ შევცდი.
წლების ოცნება ერთ ნუთში გაქრა.
არ ვიცი, რატომ შემაჭრეს ფრთები?
დანარცხებული რატომ ვერ ვხვდები,
ღმერთო, რისთვის ან რაღად ვისჯები?
რატომ არ მწყალობს, ნეტავი, ბედი?!
ცხოვრებას ვენდე და მიჭირს სუნთქვა,
დავიღალეო, შემჩივლა გულმაც...

ვერ გამიგია, რა ხდება ჩემ თავს?
გული მოკვდა და გრძნობებიც ყველა...
ეჰ, როგორ მინდა, არ ვიყო ასე,
რამის მჯეროდეს, ვილაცის მწამდეს,
მაგრამ, ვაი, რომ მე შევიცვალე,
ძველი ივდითი მოკვდა, დავმარხე!
თავს ველარა ვცნობ...
უფალო შემინყალე!
რატომ შევიცვალე?!
რატომ შევიცვალე?!

აფხაზეთი

ცრემლი არ შრება წამწამებზე,
გული კი გამუდმებით ბორგავს.
შენი სიყვარული, შენი მონატრება,
ძვირფასო, უთუოდ მომკლავს.
შენი მზე, შენი ფუძის სითბო,
მხოლოდ ის მათბობს და მაცოცხლებს.
მოვალ შენთან და შენს მადლიან მიწას ვაკოცებ!
მაგრამ, მანამდე, გადავლახავ გზად წინაღობებს –
ენგურს, საზღვრებს და,
თუ დამჭირდა, თვითონ ტყვიასაც.
მტერს გაუხმება თვისი მარჯვენა,
რადგან სიცოცხლეს შემეზიარა.

ასმათს

(„ვეფხისტყაოსნიდან“)

ვერ გაფასებენ, მწყინს, იცი, ასმათ,
არ ძალუძთ სულის მშვენების აღქმა.
იოლ ცხოვრებას არჩევენ რადგან,
არ სურთ, ფიქრებმა ურიონ თავგზა
და ამიტომაც, აგვიანებენ
(ვერ ახერხებენ საერთოდ ანდა),
რომ დააფასონ სხვისი ნაღვანი.
თვითონ მცირედიც აკმაყოფილებთ,
რასაც ცხოვრება მიართმევთ ლანგრიტ!
შენ ხომ სულ სხვა ხარ, არ გავხარ იმათ
და ამიტომაც, მიყვარხარ ასე.
მეგობრებისთვის შენს თავგანწირვას
და ერთგულებას ბევრნი ვაფასებთ.
არ დაერიდე თავის დაღუპვას,
და ჭორს, ტარიელს თითქოს ჰყვარობდი...
სახელს იტეხდი, მაგრამ შენ ამით
ნესტან-დარეჯანს ეხმარებოდი...
რომ დაიკარგა მერე ნესტანი,
მაშინ ტარიელს შენ ეძმობილე,
სიცოცხლის ძალას შენ უნერგავდი
აძლევედი მისთვის საჭირო იმედს...
მერე გამოჩნდა გმირი ავთანდილ,
მას სურდა მოყმის ამბის გაგება.
შენ საიდუმლო არაფრით გათქვი,
თუმცა, შეჰპირდი მას დახმარებას.
ჩვენი ტარიელ და ავთანდილი
სიყვარულისთვის ომში ჩაებნენ,

მათ ცხოვრებაში თვისი ადგილი
ბრძოლით იპოვეს და არ დანებდნენ,
სანამ მიჯნურთა არ გახდნენ ღირსნი.
ბრძოლა არ იყო ადვილი, ვიციით...

მირზა შველიძეს

გაგიცანი და ასე მგონია,
თითქოს აქამდე, ადრეც გიცნობდი.
არ მინახიხარ გადის თვეები
და შენს დანახვას ვნატრობ ყოველთვის.
სულ ერთხელ გნახე, მას შემდეგ აღარ,
ველარ მოვედი შენს სანახავად,
გთხოვ, მაპატიე, თუ ჩემი ძმა ხარ!
და არ იფიქრო, რომ არ მიყვარხარ.
სულ ვოცნებობდი, ძმა რომ მყოლოდა,
გადამეწურა ყველა იმედი,
მაგრამ უფალმა ძმად და მეგობრად
გამომიგზავნა მე თავი შენი.
სულ შენზე ვფიქრობ, არ მავინყდები,
უსამართლოა ხშირად ცხოვრება,
მუდამ კეთილ ხალხს არ სწყალობს ბედი.
მაგრამ, რა ვუყოთ, ვერაფერს შევცვლით.
არ დაგავინყდეს, რომ მარტო არ ხარ,
მუდამ ვლოცულობ, იცოდე, შენთვის.
და არ იფიქრო, ღმერთმა დაგტოვა,
ის სულ გიფარავს, ყოველთვის გშველის.
მხოლოდ იმისთვის ღირს ეს სიცოცხლე,
თუნდ ერთ ადამიანს უყვარდე, იცოდე.
რამდენიც არ უნდა გავიდეს წლები,
ყოველთვის ჩემი ძამიკო იქნები.

ეული ტაძარი

(დავით ბაძალუას ერთ-ერთი ნახატის გამო)

შემოსძარცვიათ ხეებს ფოთლები
და შემოდგომაც დაბერებულა.
ალარც ფუსფუსი, ალარც მლოცველი,
აქვე ღვთის ტახტი იდგა ეულად.
ლობემორღვეული, სიცოცხლე ჩამკვდარი,
დახატა მხატვარმა ეული ტაძარი.
ირგვლივ მდუმარება და იდუმალება,
სადღლა მამაო, მრევლის წინამძღვარი?!
იგი ღმერთთანაა, რადგანაც აღსრულდა,
ხალხი, მის გარეშე, ცუდი გზით წასულა.
დავინყნიათ ღმერთი, დავინყნიათ ლოცვა,
ჩამქრალა სანთელი და რწმენაც მოკვდა...
თქვენ პესიმისტი გგონიათ მხატვარი?
აი, ვხედავ, ნათელი ფერებიც აქ არის.
ვფიქრობ და ვერ ვხვდები,
რას ფიქრობდა მხატვარი,
რატომ დახატა ასეთი ტაძარი?
იქნებ, თვითონაც თავს გრძნობდა მარტოდ,
ნუთუ, ნუხილი ტილოს გაანდო?
მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც აქვს იმედი,
რომ კვლავ გაივსება ეკლესია მრევლით.
ნათელი ფერები იმედად ვსახე,
ახლა ლექსს რომ ვწერ, თვალწინ მიდგას სახე...
მხატვრის თვალეებში მე სითბო ვნახე,
იმედითაა ნახატი სავსე.
არ დაეცეთ სულით, გჯეროდეთ ღმერთის,
ეული ტაძარი მრევლს უცდის, ელის!

გაშავდა მზე, გაშავდა ცა,
წითლად შეილება მინდორ-ველი.
გაჩერდა გულები ქართველ ვაჟკაცთა,
რომლებიც იბრძოდნენ მედგრად და მამაცად.
თავზარი დაეცათ ვაჟკაცთა ოჯახებს,
დედები ატირდნენ, ძაძები ჩაიცვეს,
შვილები დაკარგეს! სამშობლო დაიცვეს
ცრემლებისა და სისხლის ფასად
და აქ, როგორც იქნა, მშვიდობა დამყარდა...
დედებმა ვერ შეიშრეს ცხარე ცრემლები...

გაზაფხულო, გელი

აი, უკვე დადგა ბებერი შემოდგომა,
დაიწყო წვიმა და მოჰყვება ქარი.
ქარი გააშიშვლებს ხეებს და მერე
გამოჩნდება ტოტებთა ჯარი.
ფერები მინაზე იწყებენ თამაშს,
ფოთლები დაფარავს ეზოს.
ზღაპრული სამყარო იქმნება, მაგრამ,
ზამთარი ჩუმად მოჰყვება ფერდობს.
ჩაიცვამს ყოველი მაშინ კი თეთრ კაბას,
სიჩუმე ჩამოწვება ირგვლივ.
გულიც გაჩერდება წამით.
მერე კი გარინდება დაღლის,
ისევ წამოიწყებს ფეთქვას,

მაგრამ ძველებურად არა!
ისიც შეუერთდა ზეცას
და გულშიც ზამთარი დადგა.
ახლა ველოდები გაზაფხულს,
ტოტებზე კვირტების გაშლას.
გულს ახლაც სიცივით დაზაფრულს,
მზის სითბო გაათბობს ალბათ.
მზე შეძლებს, გააძნობს ყინულს,
წყალი დაიღვრება ცრემლად.
გულში ისევ ველი გაზაფხულს
და რომ მალე მოვა, მჯერა.
მერე დავიღვრები სევდად
და ზამთარს გავატან ცრემლებს.
ყველაფერს მოვყვები ლექსად,
ლექსშია ჩემი შვება.
გავაღებ ფართოდ კარებს,
სილალე იგრძნოს გულმა.
ამდენ ხანს იმ წუთებს ველი,
როცა გაზაფხული მოვა.
მოდი გაზაფხულო, გელი,
ხომ უნდა შენყდე თოვა...

განვიმდა. აცივდა. ფანტელი დაცვივდა...
მე შენი დაკარგვა არ მინდა, არ მინდა.
ეჭ, წლები გავიდა, ბავშვობა წავიდა,
თუმცა, ყველაფერი იწყება თავიდან.

ეს გული გაგიჟდა და იცით? ატირდა.
ცრემლები დაცვივდა და ქარიც აყვირდა.
დრო თითქოს გაჩერდა, ან ვერ ვგრძნობ დინებას.
აზრი ეკარგება სიცოცხლს, კი ვხედავ,
რადგან სიმართლე არ არის ამ ქვეყნად.
უღირსებს ბევრს ვხვდები, ღირსეულს კი – ველარ.
ცხოვრებას ვერ ვუგებ, ვერა და ვერა.
დღეს ვიბრძვი, ხვალ იქნებ სიცოცხლე ქრება...

ვიცი, ბევრია ქვეყანაზე ბოროტი სული,
ბევრმა ქართველმა უკვე ეშმაკს მიჰყიდა სული,
ძმა ძმას არ ინდობს, მეგობარი ვერ სცნობს მეგობარს,
ჩვეულებაა აქ ლალატი და პირფერობა.
ღმერთს შესცოდავენ, მერე ვითომ ანთებენ სანთლებს
და სხვათა თვალის ასახვევად, მოთქვამენ მწარედ.
ეკლესიიდან ვით წმინდანნი, ისე გამოვლენ
და უმალ ნიღაბს მოირგებენ მაცდურ სახეზე!
ეშმაკეულნი ერთმანეთის ზრახვებს ხვდებიან,
ერთმანეთისა ეშინიათ, იმალებიან,
ეშმაკი კიდევ სიხარულით იცინის გულში,
რომ დააჩოქა ქართველები, გატეხა სულში...

სხეული მბოჭავს

მე ბავშვობიდან უბედობა მუდამ თან მდევდა.
ამ ბოლო დროს კი უცნაური რამე დამჩემდა,
სხეული მბოჭავს, სული მასში ველარ ისვენებს,
ცდილობს, რომ გასცდეს გააღწიოს წყეულ გისოსებს,

სხეული მისი ციხე არის, ცოდვის გალია,
დამწყვედელია სულის ჩიტი, რალა ფასი აქვს?
თავისუფლებაც დაკარგა და უფროთოდაც დარჩა,
ყველა იმედი და ოცნება უკვალოდ გაქრა.
ასეა, რა ვქნათ, ცხოვრებაა, ზღაპარი არა,
რა, ბედნიერი დასასრული არსებობს განა?!
თუ გსურთ, მიწოდეთ პესიმისტიც, მაგრამ მე რა ვქნა,
ეს ყველაფერი მოიტანა ცხოვრებამ ავმა.
მინდა, სხეულის საზღვარს გასცდეს, გაფრინდეს სული
სულ მალლა ცაში, რომ აიჭრას გაჩერდეს გული
და გინდ მიწოდეთ მე შეშლილიც, ოლონდ, იცოდეთ,
რომ დავიღალე, ველარ ვუძლებ საზღვრებს, გისოსებს
და ნუ დაარქმევთ ამ ყველაფერს გარდაცვალებას,
ჯობს, რომ უბრალოდ დაუძახოთ ფერიცვალება,
რადგან სხეული კვდება მხოლოდ, სხვა არაფერი.
სული კი რჩება ცოცხალი და მარად უხრწნელი.
როცა მოვკვდები, არ მიტიროთ, მსურს გაილიმოთ,
რადგან ცრემლები ზედმეცია, არასაჭირო,
არ დამანახოთ არც ძაძები, არც ყვავილები,
მხოლოდ დამმარხეთ, გამაცილეთ ტაშ-ფანდურებით.
ახლა კი, როცა თქვენ ისმენთ ამ ლექსს,
ნუ ატირდებით და იმის გწამდეთ,
მე თქვენ მიყვარხართ ყველანი ძლიერ!
გულში ეს გრძნობა ვერ დავიტიე,
ზეციდანაც კი ვიზრუნებ თქვენზე...

მე შენ მიყვარდი...

მე შენ მიყვარდი იმდენად... ძლიერ,
უშენოდ გულიც კი წყვეტდა ფეთქვას.
მე სიამაყეს ვერაფრით ვძლიე,
შენ – ტყუილებს... და აღარ ვართ ერთად.
სულში მალულად შემოძვრა სევდა,
მონატრებაა თურმე სასჯელი,
რატომ შემპირდი – „დავრჩები შენთან“ ...
სულიდან თუკი ასე გახვედი?!
რამდენჯერ გული მატკინე მწარედ,
ცრემლი მადინე... ველარც კი ვითვლი.
სწორედ, შენ გამო გამაკრეს ჯვარზე,
სიყვარულისთვის სასჯელსაც ვიხდი.
დღეს უშენობით ძრწიან ლექსები,
ღამეს გაუჩნდა თმაში ჭალარა.
შენ, ჩემგან რიტმით ნაალერსები,
სხვასთან ვერ ჰპოვებ სიტბოს ამდაგვარს.
როგორ შეეძლოთ ეთქვათ ტყუილი
შენს ღიმილს, ანდა მაგ ზღვისფერ თვალებს,
დრო რომ გაივლის შემეხვეწები:
კვლავ დამირუნდი და შემიყვარე!
მე გეტყვი უარს, არც კი ვინანებ,
თუ ცოლს მოიყვან, შენ ჩემს ჯინაზე,
ამას, იცოდე, მწარედ ინანებ!
ვერ მოგცემს იგი ისეთ სინაზეს
და ბოლოს მაინც, ისევ მინატრებ.
როცა მიხვდები, დაგესიზმრები.
მერე მომძებნი, მეტყვი: მჭირდები!
მაგრამ რალა დროს?! სხვისი ვიქნები!

მე შენ მიყვარდი იმდენად... ძლიერ,
უშენოდ გულიც კი წყვეტდა ფეთქვას.
მე საკუთარ თავს, შევძელი, ვძლიე!
ალარ მიყვარხარ, გრძნობებიც კვდება!..

* * *

მე ამ ცხოვრებას სხვა თვალთ ვხედავ
და სიყვარულიც სხვაგვარი ვიცი,
პოეტი მქვია მე მეტსახელად,
გრძნობად ვიღვრები და ალში ვინვი.
ჩემს ყველა ტკივილს, ჩემს ყველა განცდას
მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ლექსებს ვანდობ,
ისინი ძალზე მშველიან, მაგრამ
სანაცვლოდ ჩემს გულს და ჩემს სულს ვატან.
„და თუ მე მერგო, ვიყო პოეტი,
ჩემი ცხოვრების საბედისწეროდ
და თუ ამქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო“,
არ მინდა, მხოლოდ ვიყო პოეტი
და სიკვდილამდე პოეტად დავრჩე.
მე მირჩევნია, ვინვოდე სანთლად
და ბნელ ღამეში სინათლედ ვჩანდე.

* * *

მთელი ცხოვრება ვიბრძვი და ვწვალობ,
მუდამ დავეძებ სიცოცხლის მიზეზს,
მაინც დავდივარ ეულად, მარტო.
არავის ვუმხელ, გულში რა მიდევს.

ჩემს გულისტკივილს ვერავის ვანდობ,
რადგანაც ვიცი, არვინ გამიგებს,
და ვინც გამიგებს, არაა ახლოს.
მე უსასრულოს გავეყურებ სივრცეს...
მტკივა და მაინც ვდუმვარ ყოველთვის,
გულში ბევრი მაქვს მძიმე იარა.
ო, რა ძნელია ეს გაღიმება,
როცა მას შენთვის ფასი არა აქვს.
და ამის იქით აღარ მიცნობენ,
ბევრისთვის, ვიცი, ვიქნები გულქვა.
ეჰ, ღმერთმა იცის, იგია მონმე —
ჩემი გულია ძალიან სუფთა.
თუმცა, ბევრი იყო მძიმე ნუთები,
ეშმაკს უნდოდა ჩემი ცდუნება,
თუმცა, შევძელი და გავუძელი.
უფლის ვირწმუნე, მე მისი მჯერა.
ამან ცოტათი შვება მომგვარა
და არასოდეს არ ვკარგავ იმედს.
თუ მეგობარი გვერდით დაგჭირდა,
იცოდე, ჩემებრ ვერვინ გაგიგებს,
მე არასოდეს არვის გავკიცხავ
და სიყვარულიც უსაზღვრო ვიცი,
თუმცა კი, ხშირად მიჭირს ატანა,
სიხარულის და ტკივილის დიდის...
უცნაურია, ვიცი ეს, მაგრამ,
რა ვქნა, ასეთი ვიყავი და ვარ.
მხოლოდ ერთი რამ მაცოცხლებს ახლა,
რომ ყველაფერი იქნება კარგად!

ნუ გეშინია, საქართველო!

ნუ გეშინია, საქართველო, ფეხზე დადგები,
ნუ გეშინია, მალე ისევ იქნება დილა
და ავდრის ღრუბლებს გაგიფანტავს ბებერი ქარი,
არ მოგაკლდება ზეციური ლოცვა და მადლი!
ნუ შეშინდები, გენაცვალე, უკვე თენდება!
ყველა ჭრილობა უსათუოდ გაგიმრთელდება,
სულ მალე უკან დაიბრუნებ დაკარგულ შვილებს,
გამთლიანდები და მშვიდობაც დაისადგურებს.
ნუ გეშინია, საქართველო, შენთან არს ღმერთი!
იგი გიფარავს, გამუდმებით შენსკენ იხრება,
და ვიცი, მალე გაბრწყინდები, გამთლიანდები!
მალალი ღმერთი მუდამ შენთან, შენთან იქნება!

ოტობაია

ეს სოფელი რომ დანარჩენს არ ჰგავს,
სწორედ ამიტომ მიყვარს ძალიან.
ჩემი ედემი, ჩემი სამოთხე,
ჩემი სოფელი ოტობაია.
აქ ხომ ბუნება თვალწარმტაცია,
ხალხიც თბილი და გამბედავია.
მტრის წინალობებს მტკიცედ იტანენ,
ჭირშიც და ლხინშიც ერთად არიან.
და ამის შემდეგ, რად არ მიყვარდეს?
ჩემი სოფელი ოტობაია.
მე აქ ვისწავლე, თუ რამე ვიცი,
აქვე ენა და ფეხიც ავიდგი...

და შევიყვარე თავისუფლება.
თუმცა, მართმევენ ამის უფლებას.
ძალიან მიყვარს სოფელი ჩემი.
მისი ყოველი ჭრილობა მტკივა,
რამდენი ომი გადაიხადა,
თურმე რამდენი ჰყოლია მტერი.
იყო ცეცხლი და იყო ნაცარი,
იყო ცრემლი და არის საფლავი.
მაგრამ ყველაფერს გაუძლო მაინც,
ახალ ცხოვრებას აუბა მხარი.
ჰყავდა გმირები, ლომი შვილები,
მათი სავანე ისევ აქ არის.
მტკიცედ გაუძლო მტრებისგან რბევას,
გმირი შვილები ჰყავს და ჰყოლია.
სწორედ ამიტომ მიყვარს სოფელი,
ჩემი სოფელი ოტობაია.
და იმიტომაც... არ ჰგავს სხვა სოფლებს,
იგი ნამდვილად ყველას სჯობია.
ბავშვობის ტკბილი მოგონებები...
ჩემი სოფელი... ოტობაია...

ქარი ქრის

ქარი ქრის და სულის სარკმელს ლენწავს.
არ ჩერდება, აშარია ქარი,
მეუბნება, გამიღეო ჩქარა,
გამიღეო შენი გულისკარი.

მე კი ამ დროს, მიყუჟული სადღაც,
არ ვაპირებ, ქარს გავულო კარი,
რადგან იმ კარს ჩამოვკიდე კლიტე
და უცნობებს გული ველარ იტევს!

როცა მოვკვდები...

როცა მოვკვდები, მიტირებენ მხურვალე გულით,
ვისაც ერქმევა ახლობლები და მეგობრები.
მზაკვარი მოვა, დამიტირებს ნიანგის ცრემლით,
არ მომასვენებს მე საფლავშიც ის ყალბი ცრემლი.
ზოგი ამასაც არ მაკმარებს, მომიტანს ყვავილს,
გულზე დამადებს, ატირდება, ვითომ ვუყვარდი.
მე ყველაფერთან დამაშორებს ცივი სამარე,
ვიცი, მტრებს ჩემსას ეს გაახარებს.
გაილიმებენ, რომ მნახვენ მე ოთხ ფიცარში,
ჩამასვენებენ გამქირდავი ღიმით მიწაში.
დამივინყებენ, აღარავის მოვაგონდები.
ვითომ ერქმევათ ახლობლები და მეგობრები.
მხოლოდ ერთს შეგთხოვთ, ნურასოდეს ნუ დამიტირებთ,
ისიც მეყოფა, სიცოცხლეში რაც მე ვიტირე...

შენ ის მიწოდე, ვინც არ ვიყავი,
გული მატკინა მე შენმა სიტყვამ.
თურმე, სულელი გოგო ვიყავი,
ვერ მივხვდი ბედის მწარე დაცინვას...
რა სულ ტყუილად გიგე ტაძარი.
სანთელიც ბევრი ამაოდ გინთე,

მორჩა, ჩვენ შორის გაჩნდა საზღვარი.
ჩემს გულში ველარ შემოხვალ ისევ!
ახლა კი მივხვდი შეცდომას შენსას.
წვალობ და გინდა გულში შემოსვლა,
მაგრამ კარები დარჩა დახშული,
მის გარეთ დგახარ, ხარ დაკარგული.
დავკარგე შენი, იცოდე, რწმენა
და დღეის შემდეგ რაც გასურს ისა ჰქენ.
სულ დავანგრეე ყველა ტაძარი,
რაც ასე კრძალვით და ოფლით გიგე.
ველარ გენდობი, ვერ ამჩნევ ამას,
გგონია, კვლავაც შენთან ვარ ისევ,
იმას ვერ ხვდები, იმდენად ბრმა ხარ,
ერთმა შეცდომამ რაც მოიტანა.
მითხარ, რა გიყო, ვერ მითქვამს შენთვის,
არ მინდა, მართლა გული გატკინო.
თუმცა, შენ არც კი იფიქრე ჩემზე,
სიტყვები ისე უბრალოდ მლენე.
ისე უბრალოდ გამკილე, თითქოს
ვყოფილვიყავი სრულიად უცხო
და მაშინ მივხვდი, ჩემი გულისთქმა
ვერ გაგიგია... აღმოჩნდი სულ სხვა!

ვაჟას

თქვენსავით ვეტრფი მამულსა,
უმშვენიერესს, ზღაპრულსა.
ქართველნო, იამაყენით,
უფალმა მოგვართვა ძღვენი!
თქვენობით ვინყებ საუბარს,

სხვაგვარად როგორ შეგბედოთ,
არ ვიტყვი სიტყვებს, რაც უთქვამთ.
თქვენ ჩასწვდით, იცით? ჩემს სულსა.
ბუნების შვილი იყავით,
კაცობის დამფასებელი.
თქვენებრ ნამდვილი ვაჟკაცი
არ შემხვედრია მე დღემდე.
ყველაზე მეტად გესმოდათ,
ბუნებას როდის სტკიოდა,
რატომ წვიმდა ან რად თოვდა,
მზე რისთვის ამოდიოდა.
ფიქრით მდიდარი იყავით
და სულით უფრო მდიდარი.
ამიტომ დარჩით უკვდავი...
გალმერთებთ, მინდა იცოდეთ
და თანაც გვედრით ამასა,
ბუნების ცრემლს მაზიარეთ.
გულზედ დავიცემ დანასა,
მერე რა, მეცა მტკიოდეს,
ბუნებას მივცემ მეც ბანსა.
მინდა გესმოდეთ, იცოდეთ,
გალმერთებთ პოეტს ვაჟკაცსა.
გზა გამინათეთ სავალი,
მხურვალედ შეგთხოვთ ამასა!

თვეთა რომანი

იანვარი იყო, თურმე, მარტის სატრფო.
მერე უჩხუბიათ მაგრად,
თებერვალს ამით უსარგებლია,
საცოლვე წაართვა ძმაკაცს.

გაგიჟებულა მარტი,
ჩემსას არ დავთმობო, არა,
ყველგან ხომ ღალატი არის,
ქალი მაინც თებერვალს გაჰყვა.
სულ გადაირია მარტი,
დეპრესიული გახდა.
აპრილს ესმოდა მისი,
მასაც სიყვარული ჰკლავდა...
მაისი ხედავდა ამას,
ვარდებს ჩუქნიდა მუდამ,
ერთხელაც გაბედა, ჰკადრა:
„მე შენ მიყვარხარო“, უთხრა...
ივლისი ივნისს ღალატობდა,
აგვისტო გამოდგა მრუში,
ივნისმა ეს რომ გაიგო,
გულით იგლოვა გუშინ.
სექტემბერს სულ არ ადარდებდა,
არც კი ჩარეულა ჩხუბში,
თავის საქმეებს აგვარებდა...
ოქტომბერს ხიბლავდა უნინ.
ისიც თამაშში აჰყვა,
ნოემბერს დასწყდა გული.
დეკემბრის მხურვალე კოცნამ
ჩაუქრო უიღბლო გრძნობა.
მარტი კვლავ რჩებოდა გიჟად,
აგვისტო მარტოობას დარდობს,
მუდამ მხურვალეა, რადგან
ივლისის ცდუნებას ნატრობს.

თქვენთვის გავაშიშვლე თვენი,
მათი პირადული გამცნეთ,
თუ გსურთ, დამინუნეთ ლექსი...
მე ხომ გავაკეთე საქმე!..

უკვდავი სიყვარული (ნამდვილი ამბავი)

უცნაური იყო ეს ყველაფერი, ლამაზი ზღაპარი დაინყო... ქალ-ვაჟს შეუყვარდა თურმე ერთმანეთი, ვერც ერთი ვერ მიხვდა, რა იყო. გულში მალავდნენ ამ გრძნობას სათუთად, გულები ცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ ორივე დადუმდა, დამუნჯდა, გრძნობას ვერ უმხელდნენ, ვერ გათქვეს...უყვარდათ, ტკიოდათ ერთუროთის ტკივილი, მერე კი, როგორღაც, სათქმელიც თქვეს. ეს მოხდა თებერვლის ზუსტად ამ რიცხვში, წმინდა ვალენტინის დღეს. ბედნიერნი იყვნენ ამ სიყვარულით, მათი გრძნობა იყო მართლაც ძალზე წმინდა, უნდოდათ, სიცოცხლე ერთად გაელიათ, რათა სიყვარული განემტკიცებინათ. ყველამ გაიგო მათი ამბავი, ძალზე გაუხარდათ, მაგრამ...ვაი,რომ ერთხელაც მთავრდება ყველაფერი... ლამაზი ზღაპარიც გაქრა! ბიჭმა თქვა, მორჩა, აღარ მიყვარხარ და დამივიწყეო, გოგო... გოგონას უეცრად ცრემლები წასკდა, არც მოიხედა, წავიდა სადღაც. უყვარდა, ტკიოდა, ცრემლები სდიოდა და ხუთი წელი ტანჯვაში გაქრა,მერე კი, გოგონამ მიიღო წერილი... ინერებოდა ბიჭი: მშვიდობით, ჩემო ხატო,მე არ გავტყეხე ფიცი, მუდამ

მეყვარები, კარგო. ალბათ, არ გჯერა, ვიცი, მაგრამ ცხოვრებამ ეს ქნა... უჩემოდ სიცოცხლე გიჭირს? მე ღმერთმა მარგუნა ზეცა.... ჩემთვის იყავი ხატი, შენ ჩემი სიცოცხლე გერქვა, მაგრამ შეანგრია სკვდილმა გულის კარი, ავად გავხდი და სიცოცხლე ქრება, არ დამიტურო, ჩემო სიხარულო. ჩუ, ჩუ, ნუ დამტირი, არ გამიხარდება, შენი ცრემლები არ დამანახო. ზეციდან გიყურებ და ახლაც გხედავ. გთხოვ, გამიღიმე ისევ ძველებურად, ღიმილი უხდება შენს ბაგეს. ვხედავ, გამიგრძელდა გამოსათხოვარი... კარგად იყავი, აბა, გენაცვალე. ოღონდაც, იცოდე, მიყვარხარ დღესაც, რადგანაც სიყვარულს, ნამდვილ სიყვარულს ვერაფერს ვერ აკლებს ზეცაც... ნულარ დამტირი, მერე რა ვუყოთ, თუ გულმა შეწყვიტა ფეთქვა. მიყვარდი, მიყვარხარ და მეყვარები მინაზეც და აქაც... ღმერთთან!.. გოგონამ ჩუმად დაკეცა წერილი, შეიშრო ცრემლები და მერე წავიდა, მოძებნა... ამ ბიჭის საფლავი, ფიცი დაუდო, შეჭვიცა მერმე, მეც ძალზე მიყვარხარ, გისრულებ თხოვნას, შევწყვიტე ტირილი, ხშირად გაგიღიმებ, არ დაგიტირებ და სანთლებს აგინთებ, საფლავზეც ვივლი, მოგიტან ყვავილებს. აღარ დაგიტირებ და სულ გაგიღიმებ. მერე კი ზეცაში მოვალ და გეტყვი, ძვირფასო, იცი? ვერ დაგივიწყე!..

უფალო, გვედრი, რომ მაკმარო ამდენი ცრემლი და ამარიდო განსაცდელი, რაც კი რამ მელის. გთხოვ, შემიბრალე, მაპატიე, თუკი შევცოდე, ველარ გავუძლებ, დამთავრდება, ვიცი, სიცოცხლე.

და არ იფიქრო, გსაყვედურობ, ანდა გემდური,
რაც გამაჩნია, მხოლოდ შენ ერთს, შენ ერთს გეკუთვნის.
მაგრამ, ვიცოდე, რა შევცოდე მაინც ასეთი,
ჩემთვის ცხოვრება რატომ არის მუდამ სასჯელი?
რატომ შექმენი მითხარ, ღმერთო, ადამიანი
ასეთი ცუდი, არგამტანი და საზიზლარი?

ან მე რატომ ვარ მუდამ მსხვერპლი ღალატის, გესლის,
ყოველთვის კრავად რატომ ვრჩები, რად არ ვარ მგელი?
მართალი იყო კონსტანტინე, როცა დანერა,
ბრძენსა, გმირსა და ოსტატს ჰყავსო ყოველთვის მტერი.
შენა ხარ მონამე, არ ვყოფილვარ მე ცრუპენტელა,
ყოველთვის ვამბობ, რასაც ვფიქრობ, პირში ვარ მთქმელი.
სწორედ ამიტომ, მლანძღავს ბევრი ზურგს უკან, ვიცი.
როცა მხვდებიან, მიმტკიცებენ სიყვარულს ფიციით.
მაგათ ჰგონიათ, რომ ვერ ვამჩნევ სიტყვის სიყალბეს,
ყოველთვისა ვგრძნობ, ვის ვუყვარვარ, ამბობს
სიმართლეს.

ვერ გაუგიათ, როგორი ვარ სინამდვილეში,
რადგან ჰგონიათ, მათნაირი არის ყოველი.
მხოლოდ შენ იცი, რამდენია სულით მახინჯი
და ამ ყველაფერს მტკივნეულად ძლიერ განვიცდი.
გთხოვ, გვედრები, დამიფარე, გზას არ მსურს ავცდე,
ნუ მაკარგვინებ იმათ, ვისაც ეს გული ვანდე!
არ მიღალატონ, თორემ დარდი მომკლავს იმათზე
და მომიტევე, თუ შევცოდე მე შენს წინაშე.
გვედრი, მიშველე, ანგელოზნი გამომიგზავნე,
რომ დამიფარონ, ამარიდონ ყველა სიავე,
რადგან ტკივილებს ველარ ვუძლებ და ვფორიაქობ,
თავს არ მოვიკლავ, გაფიქრებით, ვცოდავ, უფალო...

მომნატრებიხარ

(ვუძღვნი მეგობრის – ბეჟან ნანიკაშვილის ხსოვნას)

მომნატრებიხარ, მეგობარო, გულსაც აკლიხარ...
შენს ლექსს ვკითხულობ, თითქოს მისგან მოველი შვებას,
სულმოუთქმელად ჩავიკითხე „თაფლისფერი ზღვა“,
კომენტარებში კიდევ შავი სიკვდილი მხვდება...
გული მიკვდება, ცრემლი ნყდება დალილ ნამნამებს.
„ალარ არისო ბენჟამენი“, ეშმა ხარხარებს.
„მომენატრეო“, რომ მოგწერე, ვერ მიპასუხე
ან რას მეტყოდი, გაპარულხარ, ღმერთთან ხარ უკვე...
იი-ს მეძახდი, მიხაროდა ბავშვსაც ბავშვურად,
ო, ის დღეები რა სისწრაფით იქცა წარსულად!
რა მეშველება, მე უშენოდ როგორ ვიცოცხლო?!
ლექსის გენია ახლა ვისგან შევისისხლხორცო?!
ერთხელ დამტუქსე, ნულარ წერო, იი, სიკვდილზე,
შენ კი დამტოვე, თუ გიშვებდი, არც კი იკითხე...
შენი ლექსები, შენი ხსოვნა, ჩემში დარჩება.
დამსაჯოს ღმერთმა, სამართალის უკვე არ მჯერა!
ჭლექს ეპატია ბევრი დიდი მგოსნის სიკვდილიც...
ეჰ, როგორ მიჭირს მოვისმინო ბედის სიცილი...
მე და სანთელი ვტირით შენზე, სხვა რალა დაგვრჩა,
ღმერთმა გამყოფოს ბედნიერი, სადაც ხარ ახლა!..

ვპოვებ სამართალს

ბრძოლა და ჭიდილი ზეციურ ძალებთან,
ბრძოლა და ჭიდილი შურთან და გესლთან,
ბოროტებასთან, ტყუილებთან... მასთან,
ადამის მოდგმის წასალეკად რაც შექმნა ეშმამ.

შურმა და გესლმა დააბრმავა თითქმის სუყველა,
მონაფემ მისმა ის გაყიდა ოცდაათ ვერცხლად,
იესო, მხსნელად მოვლენილი, შერაცხეს ეშმად,
აღარ დაინდეს, გაუმნარეს სიცოცხლე ღმერთკაცს,
ჯვარზე გაკრულიც უფალს სთხოვდა, სულეები ეხსნა.
ბოლოს და ბოლოს ყველა მიხვდა თავის შეცდომას,
ვისაც სულ მცირე, ნატამალი ნამუსი შერჩა.
ზოგმა კი შეძლო, გაუმკლავდა სინდისის ქენჯნას.
იუდამ თავი ჩამოიხრჩო, სიცოცხლე შეწყდა.
საფლავთან მცველი დააყენეს, ბილწავდნენ მასაც,
ცოცხალი ხომ არ მოასვენეს, არ ენდნენ მკვდარსაც.
მაგრამ იესო მაინც აღსდგა, ზეცით ამაღლდა,
შიშმა შეიპყრო ყველა, ვინც კი რამე დამართა.
თუმცა, მესიამ მაინც იხსნა ცოდვილი ხალხი,
კაცობრიობას მოაშორა სიმძიმე მისი.
სამწუხაროა, დაფასება გვიან რომ ვიციტო,
როცა, უბრალოდ, ამას უკვე აღარ აქვს ფასი.
და ამიტომაც, შევიყვართ ერთურთი ძლიერ.
ნუ ვანყენინებთ და ნუ ვიტყვით ცუდსა და აუგს,
რადგან სიცოცხლე დანავარდობს, ნამში ჩაქრება,
დამსხვრეულ გრძნობას ვერ აღადგენ, იგი გაქრება.

ყველაზე მეტად მიყვარს უფალი,
თუმც, ვერ ვასრულებ ზოგიერთ მცნებას.
ვერ შევიყვარებ მტარვალს ვერაფრით,
ვერ მივცემ ჩემი დაჩაგვრის ნებას.
ქართველები არ დამკლებია,
ბევრჯერ შევუნდე ორგულს და ვერაგს,

მაგრამ ბოროტად ერთხელ გაჩენილს
კარგი სურვილი ვერ შეცვლის, ვერა.
მაინც მივალწევ ყველა ჩემ მიზანს,
არ დავიშურებ ამისთვის ძალას,
მუდამ ვატარებ სიმართლეს ფარად,
თუნდაც ამისთვის მეც ჯვარზე მაცვან,
მაინც დავიცავ სიმართლეს მარად.
არ ვიტყვი ტყუილს, არა და არა!
და გულით მჯერა, ვპოვებ სამართალს.

აფხაზეთს

მე ჩუმად ვითვლი წუთებს და წამებს,
შენზე ვფიქრობ და გული მიკვდება.
შენზე ოცნებით ღამეებს ვათევ,
ოცნება უკვე აღარ მიხდება...

ხშირად გიხსენებ, გხედავ სიზმრადაც,
დღესაც, იცი, მგერი აღფრთოვანებას,
მაგრამ ცხოვრება იმედს მიკარგავს
და თავს ვარწმუნებ, რომ მეზმანება...
რომ ყველაფერი იყო კომშარი,
თითქოს ბავშვი ვარ ისევ თავნება...
შენ ხომ ის გოგო მაშინ მოკალი,
როცა უთხარი, რომ გეჯავრება.
მთელი ცხოვრება აგინთებ სანთლებს
და უძვირფასეს ხატად მე გაქცევ.
გჯეროდეს, შენთვის სიცოცხლეს გავცემ,
არ მიგატოვებ, არ გაგცვლი სხვაზე...

თქვენგან ვისწავლე ზღაპრის მოყოლა
და ამიტომაც, მე არ ვთვლი ცოდვად.
თუმცა, ვიცნობდი სულით ანგელოზს,
მერე კი, სადღაც, სიზმრებში დამრჩა...
მას შემდეგ ვეძებ დღისით თუ ღამით,
ვერ მიპოვია, მითხარით, რა ვქნა?!

აღბათ

აღბათ ტკივილი მომკლავს და მომსპობს,
მაგრამ, მე მაინც მინდოდა მეთქვა,
ყველა იმედი, რომ კვდება ბოლოს,
ბედის ბრალია, რაც ახლა ხდება...
სინათლეს ვხედავ ქვაბულის იქით,
რადაც უცნობი გაფრენას მირჩევს,
თვალწინ მიდგება თექვსმეტი წელი,
კვლავ უსასრულოდ გავყურებ სივრცეს.
რამდენი მითქვამს, უთქმელიც მრჩება.
არავინ იცის, გულში რა ხდება,
ღიმილიანი გოგო იყო...
თქვენს გულში, აღბათ, ასე დარჩება.
ეტრფოდა თვალებს, რატომღაც ზღვისფერს,
მათგან სიცივეც რამდენი ახსოვს.
ვერ ივინყებდა, ვერაფრით იმ ერთს,
მწვანე თვალების უგულო პატრონს.
განა უყვარდა, არა და არა,
მუზად სახავდა, სხვა არაფერი.
არავინ სძულდა მართლა არასდროს,
სიყვარულისთვის ქვეყნად გაჩენილს.


ბევრმა ატკინა, ადინა ცრემლიც,
დღეში ტიროდა სულ რამდენჯერმე,
ფარული იყო ეს ყველაფერი,
სიცილით გლოვა სიკვდილის დღემდე...
მავანი იტყვის — იყო შეშლილი,
მას რომ არ ვგავდი, ვიცი, იმიტომ.
სხვის შეცდომებზე ძალით დაბრმავდით,
ჩემ თავს ვატკინე, მაინც ჯვარს მაცვით.
მე არ ვეკუთვნი დღემდე ბრბოს, არა!
სხვა რომ ვიყავი, გვიან მიხვდებით.
დრო როცა გავა, მე მაინც წავალ,
ყველა მიყვარხართ, ნუ განრისხდებით!

ეჰ, რა იქნება...

ეჰ, რა იქნება, ერთხელ მეც რომ დავლიო ღვინო
და სიმთვრალეში არაფერი აღარ მახსოვდეს...
სადარდებელი, საფიქრალი, სასმელში ჩავკლა,
არ გამოვფხიზლდე მერე თუნდაც აღარასოდეს.
ეჰ, რა იქნება, ერთხელ მეც რომ მივბაძო ლოთებს,
მაგ შავ ღვინოში მეც რომ მათებრ თავი ჩავიხრჩო,
რომ ვთქვა სიმართლე და არ მითხრან, შეცდიო, ივდით,
მე არ ვინანებ არასოდეს, ეს კარგად ვიცი!
მაგრამ ცხოვრება უსამართლო კი ნერვებს მიშლის,
დრო და მანძილი საზღვარია, სიცოცხლე მიმძიმს.
სწორედ ამიტომ, მინდა, მეც რომ დავლიო ღვინო
და არაფერზე კარგახანი აღარ ვიფიქრო,
რადგან ცხოვრებას ვერ ვუყურებ ფხიზელი თვალით,
რა ვქნა, მითხარით... დამავინწყეთ ეს საფიქრალი.

ტატოს

სულით ობლობა ძნელია თურმე,
დანყევლილია პოეტის ბედი,
არავის უმხელს, გულში რა უდევს,
მალულად უთქმელ ტკივილებს ებრძვის!
ვერ გადალახე ბედის საზღვარი,
რადგან გრძნობაში არ გაგიმართლა,
სხვაზე გათხოვდა ლამაზი ქალი,
ლექსებში მერე სევდამ იმატა...
რით განუგეშო, მითხარი, ტატო,
სიყვარულია ტანჯვის სათავე.
ძნელია, როცა ყოველ წამს ნატრობ
და მასზე ფიქრით ათენ-ალამებ.
ქალმა განაცვლა ფული და ტახტი
ან იქნებ, ძალით მისცეს დადიანს.
ეგებ, გაგცვალა დედოფლობაზე...
ქალი, რა ვუყოთ, მაინც ქალია!
ლამაზი იყო ქორნილი, მაგრამ
დედოფალს უცებ გული წასვლია,
ხატავდა თეთრი პატარძლის კაბა,
ის, ბოლოს მაინც დადიანს გაჰყვა.
გრძნობის იარებს ვერავინ შველის,
ტკივილებს მაინც უნდა გაუძლო!
არა! არ არის, პოეტი ყბედი!
ხანდახან, მათაც უნდა გაუგოთ!..



ველი პასუხს...

სული ამტკივდა, შენ ვერ გაიგე,
ოდესლაც კარგად გესმოდა ჩემი,
მაგრამ, რა ვუყოთ, ბედმა გვიმუხთლა,
და გაიყარა საერთო გზები.
მე ვგრძნობდი ტკივილს, მდიოდა ცრემლი,
ქვეყნად არავის ესმოდა ჩემი.
შორს იყავ ჩემგან ფიქრით, სხეულით,
და მე ვიყავი მარტო, ეული...
მხოლოდ ერთს მივხვდი, სულ ყველა გტოვებს,
არ გტოვებს მხოლოდ სევდა და დარდი.
ამქვეყნად ბევრი კარგი ვიგრძენი,
მაგრამ, უეკლოდ ვინ ნახა ვარდი?!
ღმერთო, რამდენი გამიჩნდა კითხვა,
რატომ ან რისთვის ვისჯები, მითხარ?!
ნუთუ, არ მეყო, ცრემლების ნვიმა...
ამ ტკივილისთვის სიცოცხლე ღირდა?
რატომ შექმენი კაცი უჭკუო,
ქალი მაცდური, ეშმაკისდარი,
ქალში ბევრია სათნო და წმინდა,
ბევრი მრუში და მაცდურიც არის.
ევას ცოდვები რატომ გვაქვს ვალად,
სხვისი შეცდომა ჩვენად ჩათვალე...
ამიერიდან ვინყებ ცხოვრებას,
ოღონდ უგულოდ, აღარ მაქვს იგი.
ოდესლაც მიქონდა, მაგრამ წამართვეს.
მითხარ, უფალო, რატომ ან რისთვის?
მე ამ სტრიქონებს ვწერ გულნატკენი
და ყველა სიტყვა ნემსად მესობა.

უფალო, მაინც შემრჩა გრძნობები.
გთხოვ, მომიტევეო უკუღმართობა.
ავილე ლექსი და დავიჩოქე,
გადავისახე, ვახსენე ღმერთი,
ჩემში კეთილი და შავი ძალა
ვხვდები, რომ ახლა ერთმანეთს ებრძვის.
წამომივიდა უეცრად ცრემლი,
ყველა ცოდვაზე მე ბოდიშს გიხდი.
მაგრამ, მითხარი, უფალო, გვედრი,
ევას ცოდვებზე ჩვენ რატომ გვსჯიდი?
შენა ხარ ზემოთ, სასუფეველში,
მე კი კითხვისთვის უქმად ვირჯები.
გთხოვ, მიმანიშნე, რომ ხარ ჩემ გვერდით.
მე ველი პასუხს, ამაოდ ველი...

ფარსი

უკვე დავიღალე შენი სიყვარულით
და არ იკითხო, რატომ...
მიზეზი თვითონაც მშვენივრად იცი,
მე აღარ გნატრობ. ვნანობ.
თვალწინ დამემსხვრა შექმნილი ხატი,
„გაზაფხულს გავდი და გამიზამთრდი“.
შენზე ფიქრებმა შემშალეს ღამით,
თვალეებზე ცრემლი მომანვა ღამის,
რომ გამახსენდა შენი სიტყვები:
„აფერისტი ხარ, ზღაპრებს მიყვები“!
იმ წუთას გულში რაღაცა ჩამწყდა
და გაგიბრაზდი ძალიან მაგრად.

ბევრჯერ მამხილე ვითომ ლალატში,
არადა, თვითონ გერქვა ლალატი.
პირდაპირობა მოგნონდა ჩემში,
ალბათ, ამიტომ, არ მცვლიდი სხვებში.
ისე კი, ხშირად მიმეორებდი –
გული არა გაქვს, ჭკუიდან შემშლი.
დაპირებებით ვერაფერს შეცვლი,
რა ვქნა, კაცობა ვერ ვნახე შენში.
სიტყვით გიყვარდი, მერე ლალატი...
სხვას რომ კოცნიდი, არც კი მაღავდი,
ვერც კი ამჩნევდი, როგორ მიყვარდი,
ვერ მაფასებდი? კარგად იყავი!
„დრო რომ გაივლის, ვიცი, მინატრებ,
მაგრამ მე უკვე აღარ გიკადრებ!“
ვერ დაიბრუნებ შენ იმ ძველ ნდობას
და ასე იტყვი, დავკარგე! მორჩა!
მოგონებები მუდამ დარჩება,
ჩუმი ტკივილი მაინც გამყვება...
„მე შენ მიყვარდი“, სიცოცხლევ ჩემო!
რომ შევცდი შენში, გული კვლავ მწყდება...
და შენ გაიგებ, რაც იყო ფარსი,
ცხოვრებამ, თურმე, ჩაგვიწყო კარტი!..

ადამიანი ერთხელ კვდებაო...
არის სიმართლის რალაც მარცვალი.
სხეული კვდება უბრალოდ ერთხელ,
გული ათასჯერ მომკვდარა დარდით.

ვერ გამიგია მე ჩემი თავის,
რატომ ვარ მუდამ აღელვებული,
ზღვასავთ გიჟი და ბობოქარი,
არცერთი ნამით დამშვიდებული...
ყოველთვის მარტო, მუდამ ეული,
თუმცა, გარშემო ბევრია ხალხი.
გარეთ მზეა და სულში წყეული
ისევ ბობოქრობს ძლიერი ქარი.
ველარ ვგრძნობ სითბოს, გაცივდა გული,
არ მსურს სიცოცხლე და არც სიკვდილი,
მათ შორის არის რაღაცა ზღვარი...
უცნაურია, მე მჯერა ამის.
ტყუილად ვირჯები, რადგანაც ვხედავ,
თქვენ, რომ ვერასდროს გაიგებთ ჩემსას.
ვერ მიმიხვდებით გულში რა ხდება,
რამდენს დაფარულს ვინახავ სევდას,
ყველას გაპატიობთ შეცდომას ჩემთან,
მე კი არასდროს ვითხოვ იგივეს!
მინდა შევუნდო თავს შეცოდება,
რადგან განვიცდი და ვკარგავ იმედს.
ალარ მადარდებს, დაე, თქვით რაც გსურთ,
ანდა, უბრალოდ, მიწოდეთ გიჟიც.
ოლონდ, შეწყვიტეთ ტარება ნიღბის,
რადგან მის მიღმა ვინცა ხართ, ვიცით!
მიდით, გამლანძღეთ და ჯვარზე მაცვით,
ეგ არ მადარდებს, უფრო მახარებს,
რადგან ვყოფილვარ თურმე მართალი,
სწორად მივლია ვხედავ, აქამდე.

არვის წინაშე არა მაქვს ბრალი.
აღარ მოვუსმენ, ვინ რას ლაქლაქებს!
მხოლოდ უფლის წინ შევცოდე ბევრი.
ღმერთო, შემინდე, მე ამას გვედრი.

არის წუთები...

არის წუთები, როცა ცრემლებს აღარ აქვს აზრი,
არის წუთები, რომ გგონია, გული მოკვდება.
არის წუთები, როცა ელი ვიღაცის მოსვლას,
მაგრამ ის ვიღაც იგვიანებს... გადის ცხოვრება...
და მაინც, ახლა წარსული მაქვს მოსაგონარი,
ვფიქრობ, ვიხსენებ ლამაზ წუთებს, სევდა მანვება...
ღმერთო, რამდენი რამე დამრჩა იქ საფიცარი,
თუმც იყო ცრემლი, გულისტკენა, იმედის ნგრევა,
მაგრამ, თუ რამე ლამაზია – იყო წარსულში.
ბევრია წუთი, რომ ვიხსენებ და არ მბეზრდება...
ეჰ, გული მტკივა, ყველაფერი არის განვლილი
და მომავალში არასოდეს განმეორდება.
გთხოვთ, აღარ მითხრათ – ყველაფერი იქნება კარგად!
რომ დავიჯერებ, მერე ასე აღარ მოხდება!
ფერად ფანქრებით მე ნაცრისფერ დღეებსა ვხატავ,
ვეღარც ლექსებში ვხედავ შვებას, არაფრის არ მწამს.
არის წუთები, როცა მინდა ვიტყვი მაგრად,
ცრემლი გულიდან წამოსული ვერ აღწევს თვალებს.
მე აღარ ვითხოვ არც სიყვარულს, არც შებრალებას,
მხოლოდ ზოგიერთ მსახიობებს ვთხოვ, გამეცალეთ!
არის წუთები, როცა ფასი აღარ აქვს ბოდიშს.

ყველას გაპატიობთ და მიმხვედრიც მიხვდება ალბათ, მაგრამ გულიდან სამუდამოდ, როგორმე, წაგშლით, თქვენთვის კი ასეთ პატიებას ფასი აღარ აქვს. სწორედ ამიტომ, ნურასოდეს ნუ მატკენთ მწარედ, ნუ მომატყუებთ, მართალიც არ დაგეჯერებათ. გულით მინდოდა, სულ ჩემ გვერდით ყოფილიყავით, გონებას ვერა შევასმინე, იმას არ სჯერა. გონება ფიქრით დაიღალა, გული ტკივილით. ისიც არ ვიცი, მე ამ ლექსით რა მსურდა მეთქვა. დანგრევას მხოლოდ წუთი უნდა, შენებას – წლები, რაც ერთხელ ტყდება, მერე იგი არ გამთელდება. მე გული მტკივა, თუმცა, ვბოდავ, სადღაა გული... მხოლოდღა მისი ნამსხვრევები, სხვა არა შემრჩა. არის წუთები, როცა ცრემლებს აღარ აქვს აზრი, არის წუთები, რომ გგონია, გული მოკვდება... არის წუთები, როცა ელი ვიღაცის მოსვლას, მაგრამ ის ვიღაც იგვიანებს... გადის ცხოვრება....

შეხვედრა წარსულთან

ვსეირნობ ჩემთვის პარკში, სულ მარტო, როგორც ყოველთვის, ახლაც ეული... ვფიქრობ, ცხოვრება როგორ განვაგრძო, თუმც, თავგზას მიბნევეს ეშმა წყეული. უეცრად მესმის – მოიცა, კარგო – და მეც ვჩერდები ელდანაკრავი. ვიცი, ვინც არის უკვე ზურგს უკან, მე ის ხმაზევე მსწრაფლ შევიცანი. მერე შევბრუნდი, მომიახლოვდა,

მათვალთიერა, მიყურა დიდხანს
და გაგვახსენდა ჩვენი ბავშვობა,
როგორ გვიყვარდა ერთურთი ჩუმად.
გადამეხვია, თან მეუბნება,
რად მიმატოვე, მითხარი, კარგო?
უცებ, დაიდო გულზე ხელები, –
ისევ აქა ხარ, ჩემო ძვირფასო!
მე კი ჩუმად ვარ, არც ელის პასუხს,
თვალი გამირბის მისი ხელისკენ,
ნეკა თითზე აქვს ოქროს ბეჭედი...
ხმის ამოდებაც ვეღარ შევძელი.
უეცრად მორბის ჩვენკენ გოგონა,
იქნება, ასე, სადღაც ოთხი წლის,
მას ეუბნება – მოვედი მამა,
სახლში წავიდეთ დედასთან, ჩქარა.
მან შემომხედა, მერე ქალიშვილს
თავისას, სცადა ჩვენი გაცნობა –
ეს არის, შვილო, შენი სეხნია,
მისი სახელი დამირქმევია,
მოგონებები მახსენებს ძველ დროს,
თუმც ისევ მიყვარს, შვილო, ეს გოგო.
ეს ყველაფერი ეკუთვნის წარსულს,
გულში კი ისევ გრძნობა ბობოქრობს.
მე დავიხარე, ვეფერე გოგოს,
მას მივუბრუნდი და ვეუბნები –
ორივე ჩვენი ცხოვრებით ვცხოვრობთ.
წადი! შინ წადი! იქ ცოლი გელის!
მან კი მომიგო – მე ისიც მიყვარს,
შენდამი გრძნობა უფრო მძაფრია,

მე შენ მიყვარხარ, ათი წელია
და მე ამ გრძნობას ვერ გავუქეცი,
მაგრამ, რა ვუყოთ, გაგვყარა ბედმა,
უკვე მამა ვარ, აღარ ვარ ბავშვი,
შენ კი ჯერ არ ხარ, ძვირფასო, დედა,
დანიშნული ხარ, მიჰყვები სხვა ბიჭს,
შენმა ბეჭედმა მე მიმახვედრა...
მითხარი, ვცდები, თუ სიმართლეა?
არა, არ ცდები! დღეს მეც სხვა მიყვარს,
თუმც, ვერ ველევი პირველ სიყვარულს,
იგი მზესავით თან დამსდევს მუდამ.
მშვიდობით, ჟამი დაგვიდგა, კარგო,
ამიერიდან ველარ შევხვდებით
და თუკი სადმე შევეფეთებით,
გთხოვ, ავუაროთ ერთმანეთს გვერდი,
ჩავთვალოთ, თითქოს ვართ უცნობები.
თუ ვინმე გკითხავს, – ვინ იყო შენი,
ასე უთხარი – ჩემი და იყო...
ვიცი, რომ გულს გტკენს ჩემი სიტყვები,
მაგრამ, რა ვუყოთ, რაც იყო – იყო...
კარგად იყავი! მშვიდობით! მორჩა!
ნერტილი ესმის უდიდეს გრძნობას!
მინდა, მჯეროდეს მე ჩემი ბოძვა,
თუმც, კარგად ვიცი, არ კვდება გრძნობა.
შენ რომ მოხვედი, შეჩერდა თოვა,
ახლა კი ისევ გრძელდება, იცი?!
ჩემს იდეალად, ფიქრად გაქციე
და სიკვდილამდე ვერ დაგივიწყებ...
მივუალერსე ისევ პატარას,

მან კი მომიგო – კარგად, დეიდა!
ცრემლი მომადგა უცებ თვალებზე,
მე მისმა შვილმა მითხრა ეს სიტყვა.
დავემშვიდობე ორივეს ბოლოს
(ბედნიერება თან გდევდეთ მუდამ)
და წამოვედი... უკანასკნელად
მანც მივბრუნდი, რატომღაც, უკან.
მერე განვაგრძე ისევ ჩემი გზა
და შევეფეთე გზად საქმროს ჩემსას,
მას მოვუყევი, რაც მე შემემთხვა,
მან გაიოცა, გადამეხვია.
მერე... უეცრად გამომელვინა,
ეს ყველაფერი თურმე... მესიზმრა.

მენატრები

(ბეჟან ნანიკაშვილის ხსოვნას)

მენატრები. ცას ვუყურებ, რადგან იქ მეგულები.

წახვედი და დამიტოვე დარდი გამოუღევი.

მონატრება თვალებზე ცრემლად ჩამომდენია,

გული ასე ძალიან ჯერ არასდროს მტკენია.

ფიქრით ძლიერ დაღლილი, თვალებს

ცრემლით ვისველებ,

შენ დაგეძებ რიტმებში, ცაში, უკვე სიზმრებშიც.

ხომ არ გამებუტე, რომ ჯერაც აღარ გამოჩნდი?

დამესიზმრე ხანდახან, ველარ ხედავ, რა მომდის?

მართლა მაგრად ავლელდი, მენატრები ძალიან,

ასე რომ შემიყვარდი, შენი სულის ბრალია.

მეგობარო, ფიქრები შენსკენ გამომქცევია,
„ბენჟამენი სად არის?“ დღემდე მეკითხებიან.
მე კი ცისკენ ვუთითებ, გეფერები შორიდან,
ეჰ ,ცოცხალი რომ იყო... რა ძალიან მომინდა!
„ოქრო ხარო, მითხარი, შეგისწორე – ბრინჯაო,
ვისთვის როგორ, პატარავ, რატომ გაგიკვირდაო?“
სულ შენს ლექსებს ვკითხულობ და წერილებს ვიხსენებ,
სანამ მქვია ცოცხალი, აღარ დაგივიწყებენ!
გავამართლებ, გპირდები, მე შენს ლამაზ იმედებს,
მერე... როცა დრო გავა, როცა ღმერთი ინებებს,
შენთან მოვალ! ზეცაში შეხვედრემდე, ბეჟანი...

მახსოვს, რომ მითხრეს – გეყო ცრემლები,
საკმარისია მოთქმა-გოდება
და შეცვალო თემა ლექსებში...
არ შეშვენისო ცრემლები მგოსანს...
მაგრამ, რა ვუყო, ვერაფერს შევცვლი,
ეს ცხოვრებაა ასეთი ჩემი,
მუდამ მშველოდა ლექსი და ცრემლი,
როდესაც კაცის მღუპავდა გესლი.
როდესაც მტერი მითხრიდა საფლავს
და ახლობელი მარტყმდა ლახვარს,
მეგობარიც კი გამიხდა მტერი,
მითხარით, აბა, აქ მე რას შევცვლი?!
სწორედ ასეთ დროს მშველოდა ლექსი,
ლექსი და ცრემლი, ცრემლი და ლექსი,

იბადებოდა ცრემლებით ლექსი,
ლექსში ერია მხეცების ხელი,
მათგან დანდობას ნურასდროს ელი,
რადგანაც მხეცებს არა სწამთ ღმერთის,
ფართხალებ, როგორც ბადეში თევზი,
მუდამ შეწვენას უფლისგან ელი,
შენც გაანძრიე როგორმე ხელი.
გადარჩენისთვის ბრძოლა შეძელი
და გწამდეს ერთის, გფარავდეს ღმერთი,
მიზნის მიღწევა არ არის ძნელი,
ოლონდ, ირწმუნე შენი ძალების.
ნუ გეშინია, გზაზე დაცემის,
გიყვარდეს რისკი, იყავი ფრთხილიც,
ცუდი ჩვევები დათმე მიზნისთვის.
შენს თავს მოსთხოვე მეტი და მეტი,
არ დაიზარო, იშრომე ბევრი!
ცხოვრება რჩება დამარცხებული,
შენ გამოდიხარ გამარჯვებული
და შრომა ხდება დაფასებული.

ფიქრებში მერამდენე მიილია ღამე,
უკვე დამავინყდა ვფიქრობდი რაზე.
რატომ შემპირდი ვარსკვლავებს ცაზე?
რად გამაღმერთე ან რატომ დამგმე?!
თუკი სხვა დამავინყებს შენს თავს,
მომინყვეტს ვარსკვლავებს, მაჩუქებს ცას.

ის გახდება მუზა, გულს გავუღებ მას,
მივუძღვნი ლექსებს, სტრიქონებს ნაზს.
შენთან მომიყვანა ქარმა, მივყავარ ქარს.
სხვისი სიცოცხლე ვარ, გაიგე რა...
შენ უკვე დამკარგე, რადგან გამაბრაზე...
ეს ლექსიც უკვე ეკუთვნის მას!

უკანასკნელი თხოვნა (ჯარისკაცის ხსოვნას)

აქ ისვრიან, ყოველი დღე ვიღაც კვდება.
სიკვდილს ბევრჯერ მეც თვალეში შევხედე.
არ იტირო, გევედრები, კარგო დედა,
მე სიმტკიცე, ბავშვობიდან, გახსოვს, მდევედა...
ომია და ძმებს ვჭირდები შენზე მეტად,
საქართველოს არ დავუთმოთ მტერს!
მირჩევნია, შევეწირო მამულს მსხვერპლად,
ჩემი გული სამშობლოსთვის ძგერს!
ახლა ისევ ისვრიან და წუის ტყვია.
მეც გავალ და შევებმები, დე.
ვიბრძვი, ვისვრი, მეც ვკლავ, იცი?!
მიჭირს, მაგრამ შევეჩვიე მეც.
მენატრებით, ეჰ, უზომოდ მენატრებით.
ჩემი ცოლი როგორაა, დე...
მალე ბიჭი მეყოლება, მამა ვხდები,
სამშობლოსთვის გმირად გავზრდი, დე,
მაგრამ მორჩა! სულ დაიმსხვრა იმედეები,
გახსოვდეთ, რომ მე მიყვარხართ უზომოდ.
არ გეშლება, ხედავ, გემშვიდობები...
ცხელი ტყვია გულში მკოცნის, ვნებდები.

არ იტირო, ანუგეშე მამაჩემი,
ჩემი ცოლი, არ იღელვოს იმანაც,
ჩვენს შვილს ავნებს, შეახსენე, მიყვარდა...
გამიზარდეთ ჩემი ბიჭი სასახელო,
დაბადებას ვერ მოვესწარ, რალა ვქნა...
მინდოდა, რომ მისი ცხელი სუნთქვა მეგრძნო,
პანანინა გულში მაგრად ჩამეკრა,
მამობრივი სიყვარული დააკლდება,
მაპატიოს, მაპატიოს, სთხოვე, დედა.
ახლა მორჩა, უკანასკნელს ჩავისუნთქავ,
მერე მიდის, მეთხოვება სიცოცხლე.
ჩემს სამშობლოს ულამაზეს ბუნებაში
თვალეებს ვხუჭავ, მიხარია, დე.
მაპატიეთ, ჩემი შვილი დავაობლე,
ჩემი ცოლი დავაქვრივე, ეჰ...
შენ და მამას გეყოლებათ ჩემი მსგავსი,
ჩემ ბიჭს კარგად მიმიხედეთ, დე.
მაპატიეთ, ვერ ვბრუნდები, ომში ვკვდები,
სუნთქვა წყდება და მშვიდობით, დე.....

ვაბოლებ

ყოველდღე ვანებებ თავს, იცით, მოწევას,
თუმცა, ყოველ ხუთ წუთში ვუკიდებ სიგარეტს.
დამღალა ცხოვრების უაზრო მორევმა,
ნერვების შეტევებს ნაფაზით ვიქარვებ...
თავიდან გავსინჯე, მულამი ავუღე.
ერთგვარმა „კაიფმა“ მომხიბლა ნელ-ნელა,

რაკი ამ უცხო ხილს მეც გემო გავუგე,
თავის დანებება უბრალოდ მეძნელა...
ფიქრები გავბოლე, ტკივილებს შიგ ვატან.
რა თქვენი საქმეა, თუკი მე ბოლს ვყლაპავ,
სულ ფეხქვეშ გავთელავ ტაბუს და გაკიცხვას,
არც ის მადარდებს, ვინ ან რას მკითხავს.
კოლოფი დღეში და შეიძლება მეტიც,
ასე, ვიცი, ვეჩვევი. ესაა ხომ ბედიც...
მერე რა, რომ ვთვრები, სიგარეტსაც ვაყოლებ,
ჩემს ქაობში ვიქნები, თქვენსას მაინც აჯობებს!
ნულარ მეკამათებით და ნუ მაბრაზებთ!
ჩემთვის ჩუმი ვიჯდები, დავარტყამ ნაფაზებს!
ერთმანეთში ავურევ არაყს და ლუდს...
გაიარეთ რაა... მარტო ყოფნა მსურს!..

ვიცი, ასეა

ვიცი, ჩემთვის ჯერ ისევ ადრეა,
შენ მაშინ მოხვალ, როცა დრო მოვა...
როცა უფალი ჩვენ შეგვახვედრებს,
ჯობს, რომ გავჩუმდეთ, არა აქვს აზრი
სიტყვებს... უბრალოდ, დაკარგეს ფასი.
რადგან უფალმა ჩვენ შეგვახვედრა,
მან სიყვარულის გვიბოძა შანსი.
პირველ სიყვარულს ვერ ვეტყვით უარს,
ის სუფთაა და წმიდათა წმიდა.
სიყვარულია სიცოცხლის აზრი,
უსიყვარულოდ სიცოცხლე არ ღირს...
დიდი ნიჭია, დიდი უნარი,

როდესაც ძაღგის, სხვა შეიყვარო,
როცა ცრემლები მისი გულს გიკლავს,
როცა მის ტკივილს გსურს ეზიარო.
მოდით, გავულოთ ამ გრძნობას გული
და მივცეთ ნება, შიგ იბატონოს.
ჩვენი ტკივილი და სიხარული
ყოველდღე ერთად გავიზიაროთ.
მუდამ გვიყვარდეს ჩვენ ერთმანეთი,
საერთო გზაზე ერთად ვიაროთ
და ხშირად ვუთხრათ, ვუთხრათ ერთმანეთს –
მე შენ მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო!

პოეტის სული

არავის ესმის ჩემი,
ერთეულების გარდა,
მოყვარე – ისე ცოტა...
მტერი კი ბევრი დამრჩა.
ვერას დამაკლებს მტერი
ღვთისმშობლის მფარავს კალთა,
ტკივილებს ისევ ვებრძვი,
სხვაგვარ სამყაროს ვხატავ,
მაგრამ ვერაფერს შევცვლი,
სატანა მასობს ხანჯალს,
მტკივა ყოველი ნეკნი,
იგი ძვლებამდე ატანს...
ვიცი, გაუძლებს გული,
აიტანს ტკივილს, ტანჯვას,
მაგრამ პოეტის სული
ვერ ეგუება ღალატს.

სანამ იტყოდე რამეს,
მანამ დაფიქრდი კარგად!
სიტყვა ნყვეტს ზოგჯერ საქმეს,
სინანულს აზრი არ აქვს.....
გულს დაედება კლიტე,
უცებ, უფსკრულიც გაჩნდა...
მე დავიღალე შენით,
მშვიდობით! აბა, რა ვქნა?!

დაგელოდები

ვიცი, როდესაც გაივლის წლები,
დაგავინყდები, ეჰ, სამუდამოდ...
ვერ გაიხსენებ, ვინ ვიყავ შენთვის.
შენი ბრალია, ბედო, მუხთალო.
მერე კი, თუკი ჩამივლი გვერდით,
მოგეჩვენები სრულიად უცხო,
ჩამთვლი, რომ ვიყავ მხოლოდ ფურცელი,
არც დაფიქრდები, გადამშლი უღვთოდ.
მანამდე, კიდევ ვინვი ნელ ცეცხლში,
ჩვენ შორის კედელს მე ვერ გავარღვევ,
მინდა ვიცოდე – კარგად იქნები,
სხვა არაფერი აღარ მაღარდებს.
დაველოდები, რომ მეტყვი „კარგად“!
მერე გავქრები, არ შეგანუხებ
და ისტერიკას არ გაგიმართავ,
უბრალოდ გეტყვი – მშვიდობით! რა ვქნა,
მერე რა ვუყოთ, თუკი მიყვარხარ,
მერე რა, თუკი მცვივა ცრემლები,

დიდი ამბავი, თუ გული მტკივა,
ჩათვალე, მხოლოდ რომ მნახე სიზმრად.
ოლონდ, იცოდე, წლები გაივლის,
გიჟი პოეტი არ შეგანუხებს...
არ ეყვარები მასავით არვის,
შენც სხვას მასავით ვერ შეიყვარებ!
და როცა, კარგო, ამას მიხვდები,
მანც მიპოვი, კვლავ შემეყვარებ,
უკან დარჩება საზღვრები, გზები...
ჩვენ, რა თქმა უნდა, კვლავ შეგვყრის ბედი...
დაგელოდები... გაივლის წლები...

ამ ცხოვრებაში მოვდივართ ერთხელ
და ამ ერთხელაც ჩვენ სწორ გზას ვეძებთ,
ხშირად ძებნისგან ვერ ვიღებთ შედეგს
და ფუჭად ვფლანგავთ ძვირფას წლებს გზებზე.
და მუდამ ვებრძვით ცხოვრების წესებს,
დახევა ისევ ნიშნავს წაგებას...

ვივინყებ წარსულს

მორჩა, დამთავრდა, ვივინყებ წარსულს!
თავიდან ვინყებ ახლა ცხოვრებას!
არ მოვიგონებ დროს უკვე წასულს.
მეყო ცრემლები, მოთქმა, გოდება!
წლები გავიდა, აღარ ვარ ბავშვი,
წარსულს ჩაბარდა ძველი დროება.
რა მიამიტი ვყოფილვარ მაშინ,
ვერ შევიცანი მგელი ცხვრის ტყავში.

როდესაც მივხვდი, გვიანლა იყო,
მან უკვე გამკრა კბილები ბასრი.
მაგრამ, რა ვუყოთ, რაც იყო – იყო.
ცხოვრებას თავის წილს არ ვამადლი,
მორჩა, დამთავრდა, შევიშრობ ცრემლებს,
არ ვაპატიებ შეცდომას არვის!
არ გავახარებ არაფრით ჩემ მტრებს,
არცერთი ამ ჩემ ცრემლებად არ ღირს!
სულელი ვიყავ, როცა ვტიროდი
და ყველაფერზე თვალი დავხუჭე,
ვისაც უსიტყვოდ მე ვპატიობდი,
მათ მილალატეს და მომატყუეს.
მაგრამ შევძელი, ვისწავლე ჭკუა,
მივხვდი, არ უნდა ვენდო არავის.
ყური მივუგდო მხოლოდ გონებას,
გული ყოველთვის სანდო არ არის.
მხოლოდ ასე თუ მივალწევ მიზანს
და მოვიპოვებ ბედნიერებას,
ცხოვრებას წავგლეჯ ბევრ ლამაზ ნუთებს,
სახსოვრად მხოლოდ ესლა შემრჩება!
სწორედ ამიტომ, ვივინყებ წარსულს,
ხელახლა ვინყებ ახლა ცხოვრებას!
არ მოვიგონებ დროს უკვე წასულს.
მეყო ცრემლები, მოთქმა, გოდება!

ჩემს ელმირას

ჩემო ლამაზო, ჩემო ფერია,
ჩემო ელმირა, მიყვარხარ ძლიერ.
ეს სიყვარული ისე წრფელია,
გულში ვერაფრით ვერ დავიტიე.

იცი, ცხოვრება რარიგ ძნელია,
თვალეები ბევრჯერ ცრემლით აგვისეს,
გული გეტკინა? არაფერია,
ცხოვრება კვლავაც ხომ პირფერია!
ალარ იტირო, ცრემლებად არ ღირს,
შენ ხომ ღიმილი უფრო გიხდება!
ღალატი, მენდე, მუდამ ისჯება!

ჩემო აფხაზეთო

ჩემო აფხაზეთო, ჩემო საფიცარო,
შენი მოფერება ვილამ დამიშალოს?!
თუმცა, გეფერები მე ახლა შორიდან,
შენი ნახვა მართლაც ძალიან მომინდა.
მინდა გეამბორო, ჩაგიხუტო გულში,
მინა მადლიანი შენი ისევ ვნახო.
ვინვი, ვინვი, ვინვი შენი სიყვარულით!
შენთვის თავს გაწირავ, მხოლოდ შენთვის, კარგო!
ჩემო სამოთხევ და ჩემო საფიცარო,
მინდა ტკივილები ისევ დაგიამო!
მალე ისევ გნახავ, გადავლახავ ენგურს,
არ დავეძებ საზღვრებს, რადგან გულს შენთან სურს!
მჯერა, ღმერთი ყველას დაგვაბრუნებს შენთან,
ყველა განაახლებს უკვე ჩამქრალ კერას!
მჯერა, ჩაბარდება ყველა წყენა წარსულს,
ჩვენ და აფხაზები – მე ცალ-ცალკე არ მსურს!
კვლავ შევფიცოთ ერთურთს მეგობრობა, ძმობა,
მტრის ჯინაზე უნდა დავივიწყოთ მტრობა.

ენავ, ქართულო...

ენავ, ქართულო, სისხლით ნამულო!
ვინ არ გითხრიდა ფესვებს, მამულო?!
ენავ ქართულო, ვერ ამოგძირკვეს!
ფესვები გქონდა მყარად გადგმული
და ამიტომაც ვერ დაამარცხეს
ქართველი ერი, ქართველთა ჯარი!
ერის მშვენიებავ, ერის საუნჯევ,
ვინც შენ არ გეტრფის, იგი დამუნჯდეს!
ერის სინათლევ, გზა გაგვინათე.
გზა გავაგრძელოთ მტრების ჯინაზე!

გაიღვიძეთ, ქართველებო, გაიღვიძეთ!
მტერი გვიტევს, ფესვებს გვითხრის მალულად.
გაიღვიძეთ, თორემ ვხედავ, ეს სიცოცხლე
სხეულიდან ჩუმად გამოჰპარულა.
გაიღვიძეთ, თორემ მტერი გვართმევს მამულს.
სხვა სამშობლო, სხვა ქართველი არ იქნება...
გაიღვიძეთ, ქართველებო, გაიღვიძეთ,
ახლა გვმართებს სიფხიზლე და დაფიქრება!

რალაც იწყება

რალაც იწყება, რალაც მთავრდება,
რალაც იცვლება, წარსულს ბარდება.
ნუ შეშინდები, ნუ დაგზარდება
ამ ცხოვრებისთვის კარგად ჩავლება

და არ გაბედო, ხელის ჩაქნევა,
არ დაიზარო გზების გაგნება.
თუკი ამ გზაზე დაგილამდება...
რალაც იწყება, რალაც მთავრდება...

ლამპიონები

ლამპიონები გვინათებენ უმთვარო ღამეს,
მაგრამ ისინი უძღურები არიან მაინც,
რადგან ცხოვრებას, ჩაბნელებულ გზებით აღსავსეს,
ვერ ანათებენ თავიანთი შუქისა ძალით.
და ჩვენ კი ამ გზას მივუყვებით, დავდივართ ბნელში.
გზაც აგვრევია და ბევრჯერაც სულ დავკარგულვართ,
მაგრამ ცხოვრებას მაინც ისე ჯიუტად ვებრძვით
და ცხოვრებასთან ბრძოლას ალბათ შევეწინიებით.

ეჰ, კარგი იყო ბევრი ოცნება,
გულს რომ აძლევდა იმედებს.
მაგრამ ყველაფერი ერთხელაც მთავრდება,
ფრთები შემაჭრეს და გამიმეტეს.
მინას დავენარცხე, ამტკივდა სხეული,
თუმცა, სულზე მეტად – არა.
ისევ მარტოსული და ისევ ეული,
პირისპირ დავრჩი საკუთარ თავთან.
მინაზე დავბრუნდი, ღრუბლები გაქრა,

ბედნიერება კი მათზე დამრჩა.
ცხოვრებას გავაგრძელებ,
სხვა მეტი რა ვქნა?
კვლავაც გავილიმებ...
მოვირგებ ნილაბს, ალბათ ძველებურად
ვიქნები მხიარული, უდარდელი გოგო.
ცხოვრების სცენაზე თამაშს გავაგრძელებ,
კისერს მომიგრეხენ ბოლოს.
უფალო, შენ უნცი, რამდენად სუფთა ვარ
და როგორ ვერ ვიტან ტყუილს,
მინდა ვთქვა სიმართლე და არ გამამტყუნონ,
გიჟი არ მინოდონ სიმართლის თქმისთვის...
არასდროს არ მითქვამს, უცოდველი ვარო,
მეც ყველასავით ვუშვებ შეცდომებს.
ათასჯერ მითქვამს, ამას არ ვიზამო,
მაგრამ, უნებლიეთ, ბევრჯერ შევცოდე.
თავი მეზიზღება, რადგან უძლური ვარ,
ვკარგავ ზოგჯერ იმას, რაც კი გულით მიყვარს.
მიყვარდა და მაინც ვუთხარ – კარგად იყავ!
რა ვქნა, ასეთი ვარ – თავნებაც და ნაზიც,
გულცივიც და გულქვაც.
ყველას შევიბრალებ, არა საკუთარ თავს!
ვხედავ, გამიგრძელდა ერთი აღსარებაც,
იქნებ ბოლოცაა... მაინც უფლის მჯერა.
ვიყავ ბედნიერი, ხანი იყო მოკლე,
ველარ მივხვდი მანამ, სანამ გული მოჰკლეს...
მალე უსასრულოდ დაიწყება თოვა
და ოდესმე ნეტავ, გაზაფხული მოვა?

ბაბუას

რა დამავიწყებს იმ ლამაზ ნუთებს,
შენ რომ მაჩუქე, ჩემო ბაბუა.
ბავშვობის დღეებს ძალზე მხიარულს
და იმ უდიდეს წმინდა სიყვარულს,
რაც გვაკავშირებს, ძვირფასო ბაბუ.
შენთან თამაში, შენი ალერსი
მუდამ მიცვლიდა მამის სიყვარულს,
პატარა ბავშვს ხომ არც უნდა მეტი...
სულ ცოტა სითბოც მოჰგვრის სიხარულს.
ახლა კი, უკვე წლები გავიდა
და აღარა ვარ პატარა ბავშვი,
მაგრამ, ვიცი, რომ შენთვის მე მაინც
ერთ პანაწინა გოგონად დავრჩი.
ასე მითხარი, თუ გახსოვს, წელან,
შენ ჩემთვის ისევ პატარა ხარო.
უკვე დიდი ვარ! – გითხარი მაშინ,
ერთად რომ ვფცქვნიდით სიმინდის ტაროს.
მე კარგად მახსოვს, თუმცა, გავიდა
მას შემდეგ უკვე წელი რამდენი,
სითბოს, სიყვარულს რომ არ მაკლებდი.
მამამ არ მომცა სითბო ამდენი,
მაგრამ ეს უკვე აღარ მადარდება,
შენ ჩემთვისა ხარ მამაც, ბაბუაც...
ჩემსავით არვის უყვარხარ, ბაბუ.
შენ რომ არსებობ, მადლობა უფალს,
შენ რომ ჩემთან ხარ, ბედნიერი ვარ
და ჩემს სიხარულს არ აქვს საზღვარი.



ბედნიერი ვარ, ბედნიერი ვარ,
შენ და ბებო რომ არსებობთ, ამით.
გთხოვ, არასოდეს არ დაივიწყო –
ჩემსავით ქვეყნად არვის უყვარხარ!
მოვალ შენთან და ჩაგეხუტები,
მერე კი ჩუმიად გეტყვი – მიყვარხარ!..

ვიცი, დამთავრდება ერთხელ ყველაფერი,
ყველაფერს ექნება ბოლო.
არის მთავარი და გადამწყვეტი,
ვინ როგორ მოკვდება, ოღონდ.
ზოგმა სიცოცხლე ნიღბით გალია,
ზოგიც უნიღბოდ ბრძოლაში მოკვდა.
გახსოვდეთ! მკვდარი მაინც მკვდარია,
მაგრამ მთავარი მაინც კვალია.
ზოგი ცოცხალიც უკვე მკვდარია
და სული მისი ეშმაკს აბარია,
რადგან მოლალატე ისედაც მკვდარია,
ლალატის შემნდობნი ცოტანი არიან.
და გულმართალიც მცირეა ძალიან,
რომლებიც ლალატის მსხვერპლნი არიან,
მაგრამ მათ უფალი სამოთხეს აჩუქებს,
ცხოვრება ველარ მოუჭერს მარნუხებს!
სამაგიეროდ, ის აგებს პასუხს,
ვინც განუდგება უფალს და მამულს!

მამულო ჩემო

მამულო ჩემო, ძლიერ მიყვარხარ!
შენა ხარ ხატი და სალოცავი,
ყოველთვის გყავდა მტრები და მაინც
ვერ გაგიტხარეს, ვერა, საფლავი.
თუმცა, კი ყველას სურდა ეს მიწა
და ეს სიმდიდრე ხელში ჩაეგდო,
მაგრამ ურდოებს ნება ვინ მისცა,
ჩვენი მამული ფეხქვეშ გაეგოთ.
მამულს შვილები მკერდით იცავდნენ
და იფარავდნენ ურდოებისგან,
მათი წყალობით შეგვინარჩუნდა
ქართული მზე და ქართული მიწა.
სწორედ ამიტომ, გვეყვინ ქართველნი
და გვაქვს ასეთი ვალდებულება,
მკერდით დავიცვათ ჩვენი მამული,
წინაპართ სისხლით შემონახული.
შენ კი, მამულო, ერთი გახსოვდეს,
ჩემი სიცოცხლე მხოლოდ შენია,
თუ დაგჭირდება, ხონჩით გიბოძებ
და მხოლოდ შენთვის, შენთვის ვიცოცხლებ!

დედას

ჩემი სიცოცხლე, ჩემო კარგო, შენით დაიწყო,
ის შენ მაჩუქე და ამისთვის მადლობა, დედა.
მაგრამ რა ვუყოთ, რომ სიცოცხლეს მე არ ვაფასებ...
მოდი, დღეს მაინც ნუ ვიფიქრებთ ამაზე, დედა.

ყველაზე წმინდა და ძვირფასი, კარგო, შენა ხარ.
მინდა გახსოვდეს, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ!
გთხოვ, მაპატიე, თუკი ხშირად არ ვამბობ ამას,
თუმც, არასოდეს დაგივინწყებ, ძვირფასო, ამავს.
გთხოვ, მაპატიე, შენს წინაშე ბევრი ცოდვა მაქვს,
მაპატიე, რომ შევიცვალე... ალბათ, გრძნობ ამას.
ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, წლებმა შემცვალეს,
პატარა გოგო, დამჯერი და ჭკვიანი გოგო
ისე წავიდა, ველარც მივხვდი, როდის ან როგორ.
ბევრჯერ გატკინე, აგატირე, ვნანობ ძალიან,
თუმც, გვიანია სინანული, რალა აზრი აქვს...
შენი ტკივილი ორჯერ უფრო ძალიან მტკივა.
შენმა ცრემლებმა ო, რამდენჯერ მწარედ მათირა.
ჩემი შეცდომა მართლაც ძალზე ძვირი დამიჯდა,
ვიცი, შევცდები ალბათ ბევრჯერ... ო, ეს არ მინდა,
მაგრამ ვაი, რომ შევიცვალე, ველარ ვგრძნობ სითბოს
ველარც სიტყვისას, ველარც გრძნობის და ვკვდები
თითქოს,

გული კი მაინც სიყვარულს და სიხარულს ითხოვს,
გონება კიდევ არ უჯერებს, ვიყოფი თითქოს,
თავს ვერ ვიკავებ, გამიმართეს ნამდვილი ომი,
ორივე მლუპავს! შენ ვერ მშველი ვერაფრით, დედი...
ვერვინ მიშველის, არ იციან, რა ხდება ჩემში,
შენ კარგად იცი, როდის ვცდები, ან ვის რას ვერჩი!
რომ მსაყვედურობ, გული მაშინ ძლიერ მიკვდება,
რადგან გაბრაზებ უნებლიეთ, დაუფიქრებლად.
მინდა გჯეროდეს, რომ მიყვარხარ, ძვირფასო, ძლიერ!
თუ შეგიძლია, მაპატიე, გული გატკინე...
ნატავ შემეძლოს, რომ შენ გგავდე, ვიყო ძლიერი
და ვიქნებოდი ცხოვრებაში მე ბედნიერი.

მერე კი, როცა, წლების მერე, ვიქნები დედა,
ეჰ... მაშინ უფრო დაგიფასებ შენს ამაგს, დედა!

იყო დრო, როდესაც სულ შენზე ვფიქრობდი,
მიყვარდი, მართლაც რომ ძალიან, ძალიან.
მეგონა, იგივეს, იმავეს შენც გრძნობდი,
თურმე, ყველაფერი ტკბილი სიზმარია.

ბავშვობის წლები

რა კარგი იყო ჩემი ბავშვობა,
ბედნიერების ხანმოკლე წლები.
მაგრამ, ვაი, რომ არ დაბრუნდება,
ალარც ძალით და მით უფრო ნებით.
იგი ქარს გაჰყვა, ქარმა წაიღო
და ოცნებებიც თან გაიყოლა.
ჩემო პატარავ, მიხვდი, რა იყო?
ვერ მიხვდი, რადგან ქარმა წაიღო.
გადაგისროლა ამ ქარმა სადღაც,
როგორც ფოთოლი ხეს მონყვეტილი
და ის სიზმარიც უმაღვე გაქრა,
გაქრა და გაჩნდა იქვე წერტილი.

რა ვქნა უფალო, ვერ ვგუობ მინას,
მინდა გაფრენა მაღლა, ზეცისკენ.
გთხოვ, დაიფარე ყველა ვინც მიყვარს,
მე კი სიმშვიდეს აქ ვერ ველირსე...

სარჩევი:

ახლა რომ მცვივა...	5
ჩათვლიმა სევდამ...	5
სიყვარულს გასწავლი	6
გრძნობებმა იცის...	6
დღეს მომენატრე	7
მე მახსოვს...	8
*** გადავიღალე და თვალებს ვხუჭავ	9
რატომ?	9
*** გრძნობას დავახურე ფარდა	9
აფერისტია ბედნიერება	10
მახსოვს...	11
უხმოა სიტყვებიც	12
მზე მაჩუქეთ!	12
*** არ ვიცი, რა გითხრა, ბევრი მაქვს სათქმელი ...	13
აჩის	14
მგლები ტყეში	14
სამი მარტია	15
*** მოჩვენებითი გულცივობა, მალული ცრემლი	15
ბებოს	16
რატომ შევიცვალე?!	17
აფხაზეთი	18
ასმათს	19
მირზა შველიძეს	20
ეული ტაძარი	21

*** გაშავდა მზე, გაშავდა ცა	22
გაზაფხულო, გელი	22
*** განვიმდა. აცივდა. ფანტელი დაცვივდა... ..	23
* * * ვიცი, ბევრია ქვეყანაზე ბოროტი სული	24
სხეული მხოფავს	24
მე შენ მიყვარდი... ..	26
* * * მე ამ ცხოვრებას სხვა თვალთ ვხედავ	27
* * * მთელი ცხოვრება ვიბრძვი და ვწვალობ	27
ნუ გეშინია, საქართველო!	29
ოტობაია	29
ქარი ქრის	30
როცა მოვკვდები... ..	31
*** შენ ის მიწოდე, ვინც არ ვიყავი	31
ვაჟას	32
თვეთა რომანი	33
უკვდავი სიყვარული	35
*** უფალო, გვედრი, რომ მაკმარო ამდენი ცრემლი .	36
მომნატრებიხარ	38
ვპოვებ სამართალს	38
*** ყველაზე მეტად მიყვარს უფალი	39
აფხაზეთს	40
*** ხშირად გიხსენებ, გხედავ სიზმრადაც	40
აღბათ	41
ეჰ, რა იქნება... ..	42
ტატოს	43

ველი პასუხს... ..	45
ფარსი	46
*** ადამიანი ერთხელ კვდებაო... ..	47
არის წუთები... ..	49
შეხვედრა წარსულთან	50
მენატრები	53
*** მახსოვს, რომ მითხრეს – გეყო ცრემლები	54
*** ფიქრებში მერამდენე მიიღია ღამე	55
უკანასკნელი თხოვნა	56
ვაბოლებ	57
ვიცი, ასეა	58
პოეტის სული	59
დაგელოდები	60
*** ამ ცხოვრებაში მოვდივართ ერთხელ	61
ვივინყებ წარსულს	61
ჩემს ელმირას	61
ჩემო აფხაზეთო	63
ენავ, ქართულო... ..	64
*** გაიღვიძეთ, ქართველებო, გაიღვიძეთ!	64
რალაც იწყება	64
ლამპიონები	65
*** ეჭ, კარგი იყო ბევრი ოცნება	65
ბაბუას	67
***ვიცი, დამთავრდება ერთხელ ყველაფერი	69
მამულო ჩემო	70

დედას	71
***იყო დრო, როდესაც სულ შენზე ვფიქრობდი	72
ბავშვობის წლები	72
*** რა ვქნა უფალო, ვერ ვგუობ მინას	72



იედო-ოტობარი (იედითი ხაზალია) დაიბადა ქალაქ ზუგდიდში 1996 წლის 14 სექტემბერს აფხაზეთიდან, სოფელ ოტობაიიდან დევნილ ოჯახში. დევნილობამ თავისი დალი დაასვა მშობლიურ კერას მონყვეტილი ბავშვის სულს, რამაც თანატოლებზე ადრე შეაგრძნობინა ცხოვრების სისასტიკე. 7 წლისამ დანერა პირველი ლექსი. ბავშვური გულწრფელობით შექმნილ ლექსებში ის ცდილობს ამა სოფლის ავ-კარგზე დაფიქრებას. მათში გაცხადებულია ავტორის ტკივილი, სიხარული, ფიქრები და ოცნებები. პოეზია არის იედითის სულის მალამოც და სატკივარიც. მკითხველი უსათუოდ შენიშნავს, რომ ახალგაზრდა პოეტის სანუკვარი ოცნებაა სამშობლო, მისი გამთლიანება, სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე.